



ციბიხანი

№ 127 / 11 - 17 მარტი / 2013

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ხატობა იბვიანებას სამაჩთანადი?

83. 14



ყველაზე სიბნელეში
ვამოძიებთ ყველაზე
მნიშვნელოვან
დასაწყობი
გადაწყვეტილებას



PROFY

ყოველი კვირა 15:30



ლიბერალი

№ 127 / 11 - 17 მარტი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექაშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი,
ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრაბუსები:

ლელა რეზიაშვილი, ცქრიალა
შერმაღინი, მალხაზ ჭკადაუა

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექაშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და პრინციპების
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:

ქეთევან ქავთარაძე
მარკეტინგის მენეჯერი:
ია შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი



„ლიბერალის“ ეს ნომერი დასაბეჭდად 8 მარტს გავამზადეთ. ჩემი ფეისბუქ-მეგობრების კომენტარებს თუ დაუფუჯერებთ, ეს ამ ქვეყანაში ყველაზე საკამათო – დღესასწაულია. მემარჯვენეების ფეისბუქ-კედლები თავნაკრული სლავი ქალების კარიკატურებითა და ცინიკური მინანურებითაა მოფენილი, მემარცხენეები კი როზა ლუქსემბურგისა და სხვა ემანსიპირებული ქალების სახასიათო ფოტოებს აზიარებენ.

ჩემს ბავშვობაში ფეისბუქი, რა თქმა უნდა, არ არსებობდა. ბევრად მარტივად იყო აწყობილი ყველაფერი. 23 თებერვალს თანაკლასელი გოგონები თანაკლასელ ბიჭებს საჩუქრებს გჩუქნიდნენ. ჩვენ ვცდილობდით ადეკვატური საჩუქარი 8 მარტს დაგვებრუნებინა. არ მასსოვს რომელ წელს, მაგრამ ერთ-ერთ 23 თებერვალს თანაკლასელმა გოგონამ, რომლის დედაც წიგნის მაღაზიაში მუშაობდა, ყველა თანაკლასელ ბიჭს აჩუქა მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. ჩემთვის დღემდე ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნია. საბჭოთა არმიის ყოველ დღესასწაულზე ეს საჩუქარი მახსენდება ხოლმე და კარგ ხასიათზე მაყენებს. არადა, უკვე კარგად ვიცი, რომ 23 თებერვალი სულაც არ უნდა იყოს სასიხარულო დღე.

ის რომ ჩემთვის თითქმის ყველაფერი პირობითია, ამას ეს ისტორიაც ადასტურებს. ქვეყანაში, რომლის მილიარდერი პრემიერ-მინისტრის მთავრობა უფასო ჯანდაცვის ინიციატივით გამოდის, ხოლო ლეიბორისტური პარტიის წევრები ნაცისტურ განცხადებებს აკეთებენ, მემარცხენეობაც ისეთივე პირობითია, როგორც მემარჯვენეობა. ფეისბუქზე ქვეყანობანას ვთამაშობთ და ფუნქციებიც გვაქვს დანაწილებული.

ამ ქვეყანობანაში „ლიბერალი“ მემარცხენე ჟურნალია. 8 მარტს მთელი მსოფლიოს მემარცხენეები ზეიმობენ. მეც მოვიქცევი ისე, როგორც ჩემს ადგილას ყველა მემარცხენე ჟურნალის თანამშრომელი მამაკაცი მოიქცეოდა:

გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს, „ლიბერალის“ ძვირფასო მკითხველებო.

*ირაკლი აბსანძე,
პოლიტიკის რედაქტორი*



ჩახომ იბჰინახს სამახთანი?

„სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია და კარგად ვითარდება,“ – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის ასდღიანი მუშაობის შეფასებისას.

უფლებადამცველთა ნაწილი მის ასეთ განწყობას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ პროცესი ქიანურდება. სამართლიანობის აღდგენაში განხორციელებული საქმეების გამოძიება, დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯა, წამების თუ არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია იგულისხმება.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება სწორედ ეს იყო. არ მოიძებნება გამარჯვებული კოალიციის არც ერთი ლიდერი, რომელსაც ამ საკითხზე კომენტარი არ გაეკეთებინოს და ამომრჩეველს სამართლიანობის აღდგენას არ დაჰპირებოდეს.

ზურაბ ვარდიაშვილი 33.16

ინახიჰია ჰიბანისხ ძანო ჰახოსანიქასთან

ლადო ვარდოსანიძე: თბილისი თავის დროზე ნომინირებული იყო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად. მაშინ უარი მივიღეთ და რეკომენდაციები მოგვცეს გამოგვესწორებინა კანონმდებლობა, დაგვეხვეწა ძველი ქალაქის მართვის ფორმები, აღგვეწუსხა არქიტექტურული ძეგლები და შეგვეწყვიტა უმსგავსი მშენებლობები. მშენებლობების გარდა, ყველა საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარდა. ახლა ლამის შტურმით იღებენ მთანმინდას, სულ უფრო მაღლა მიდის განაშენიანება და მთანმინდის პროფანაცია ხდება. პირველ პლანზე ჩვენთან წამოვიდა არა ურბანული გარემოს ფასეულობები, არამედ ფასები, რაც დიამეტრულად განსხვავებული ცნებებია.

ანი ჭანკოტაძე 33.08

ხოჯახიხასიის ჰიხომო


26 თებერვლიდან 7 მარტამდე ბიძინა ივანიშვილს ორი კოჰახიტახიური შეხვედრა ჰქონდა – მიხეილ სააკაშვილთან და კოტე კუბლაშვილთან. „ქართული ოცნების“ მთავარი გამოწვევა ამ დროისათვის წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის ისე დაყენებაა, რომ პროცესი პოლიტიკურ ანგარიშსწორებას არ დაემსგავსოს. ამ კონტექსტში ხშირად საუბრობენ ხელისუფლების ოპოზიციაში ჩამდგარ სასამართლო სისტემაზე, თუმცა პრემიერ-მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრის შემდეგ გაკეთებული კომენტარები ფრიად კეთილგანზობილად უღერდა. „საუბარი საერთოდ შეეხებოდა იმას, რომ სასამართლო უნდა იყოს აუცილებლად დამოუკიდებელი როგორც ახალი, ისე ძველი გუნდისაგან და რაც მთავარია, საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს და ირწმუნოს, რომ სასამართლო არის სამართლიანი,“ – თქვა ივანიშვილმა შეხვედრის შემდეგ და დააკონკრეტა, რომ სიტყვა „იმპიჩმენტი“ შეხვედრაზე არც კი დასცდენიათ.



ირაკლი ალისანიძე 33.14

ჩოსა ლბაღუხოზა ჯიჩვანი ჯი ჯიის


ოკუპაცია როგორც ფაქტი, საგანგაშოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ სივრცის ძალადობრივი დაკავება კონკრეტული ადამიანების განდევნის და დისკრიმინაციის ხარჯზე ხდება, არამედ იმიტომაც, რომ უსამართლოდ თუ სამართლიანად ოკუპირებული სივრცის უკან დაბრუნება, ანუ დეოკუპაცია ასევე კონკრეტული ადამიანების განდევნას გულისხმობს. მეტიც, წართმეული სივრცე აღარასდროს იქნება ოკუპაციამდელი მინის მსგავსი. პალესტინის შემთხვევაში, ზეთისხილის ხეები გადამწვარია; მათ ადგილას ისრაელის მოსახლეების უბნებია. გზებით, შენობებით, ინფრასტრუქტურით და რაც მთავარია – ადამიანებით. ანუ, ოკუპაციის როგორც ფაქტის, როგორც ფიზიკური რეალობის მთავარი სირთულე, ოკუპაციამდელი გარემოს აღდგენის შეუძლებლობაა.

 **ლეღა რეხვიაშვილი**
03.30

საზოგადოება

ლაზიკა – პრეზიდენტის აუხდენელი ოცნება



 **მალხაზ ჭკადუა**
03.38-45

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერში:



- 04 მოკლედ **ორი აზრი**
- 06 ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია თუ არა ხელს ქვეყნებს შორის პოლიტიკური პროცესების დალაგებას?
ინტერვიუ
- 08 „ქალაქი ადამიანთა ერთობა“
პოლიტიკა
- 14 კოპაბიტაციის პირმოშო
მთავარი თემა
- 16 რატომ იგვიანებს სამართალი?
ჟურნალისტური გამოძიება
- 24 მოტყუებული ფერმერები
საზოგადოება
- 30 როცა ლეგალურობა არჩევანი არ არის
გარემო
- 34 ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს
ფოტორეპორტაჟი
- 38 ლაზიკა – პრეზიდენტის აუხდენელი ოცნება
ლიბერალის ვებგვერდიდან
- 46 ჩავესის დიქტატურა და სააკაშვილის დემოკრატია
- 48 **ციტატები**

"ყვანაფაჩი ჩავსთან ჩითად, ალაჩაფაჩი მის ბაჩაჟა"



ვენესუელას 52-ე პრეზიდენტი უგო ჩავესი 58 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა.

„XXI საუკუნის სოციალისტის და ამერიკის შეერთებული შტატების მტრის გარდაცვალების შესახებ ოფიციალური ცნობა 5 მარტს, ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა, ნიკოლას მადურომ გაავრცელა. მადურომ საზოგადოებას მეტი ერთიანობისკენ მოუწოდა.

ქვეყნის პირველი პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ვენესუელაში გლოვა გამოცხადებული, საპრეზიდენტო არჩევნები კი 30 დღის შემდეგ ჩატარდება.

უგო ჩავესი სიმსივნის დიაგნოზი 2011 წლის ივნისში დაუსვეს. პრეზიდენტის მკურნალობის და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას ვენესუელას მთავრობა საიდუმლოდ ინახავდა. 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის თებერვლის ჩათვლით, კუბაში პრეზიდენტს სამი ოპერაცია და ქიმიოთერაპიის კურსები ჩაუტარდა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებიდან ორი თვის შემდეგ, 2012 წლის 8 დეკემბერს ჩავესმა მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა და მისთვის აუცილებელი ქირურგიული ჩარევის შესახებ აცნობა. რიგით მეოთხე ოპერაცია პრეზიდენტს ამავე წლის 11 დეკემბერს, ჰავანაში გაუკეთეს. წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით, მკურნალობის ამ კურსის შემდეგ უგო ჩავესი არც საჯაროდ გამოჩენილა და აღარც „ტვიტერისა“

თუ სატელეფონო ჩართვების მეშვეობით მიუმართავს მოსახლეობისთვის. „როდესაც პრესონალიზებულ დაფუძნებულ სისტემას ის პიროვნება ეცლებო, რომელზეც ყველაფერია დაფუძნებული, მთელი საძირკველი სუსტდება“, – აღნიშნავს ხავიერ კორალესი, პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩავესის ცხედარს 7 დღით კარაკასის სამხედრო მუზეუმში დაასვენებენ. ამის მიზეზად ვენესუელის ყოფილ პრეზიდენტთან დამშვიდობების მსურველთა დიდი რაოდენობა სახელდება. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, ჩავესის ცხედარს მინის საახლეში დაასვენებენ.

უგო ჩავესმა ვენესუელას პრეზიდენტის პოსტი 1999 წელს დაიკავა, სწორედ ამ წლიდან იწყება ახალი ერა ქვეყნის პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობებში.

სიღვიპო ბაჩაფაჩონის მოხიბობი ალაჩაფაჩი ლონისძიება შაუფაჩეს

მილანის სასამართლომ იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სილვიო ბერლუსკონის ბრალი 2005 წელს, პირადი ინტერესებისთვის უკანონო სატელეფონო მოსმენებში დაუმტკიცდა. საქმე ექსპრემიერის მიერ პოლიტიკური ოპონენტის – პიეო ფასინოს კონფიდენციალური საუბრების ბანკის ხელში ჩასაგდებად გამოყენებას ეხება.



ამავე საქმეში თანამონაწილეობისთვის ორი წლითა და სამი თვით პატიმრობა სილვიო ბერლუსკონის ძმას, პაოლოს შეეფარდა. პაოლო ბერლუსკონი იმ გაზეთის გამომცემელი იყო, რომელშიც ყოფილი პრემიერის მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალები გამოქვეყნდა.


გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებით სილვიო ბერლუსკონის აღმკვეთი ღონისძიება 4 წლის ვადით წარსულშიც შეუფარდეს. კორუფციულ სქემებზე იტალიის ყოფილ პრემიერს ნეაპოლის სასამართლოშიც მოუწევს ჩვენების მიცემა, მარტის ბოლოს კი ბერლუსკონის არასრულწლოვანთან სექსობრივი კავშირის დამყარების საქმეზე გამოუტანენ განაჩენს.

მიმდინარე სასამართლო პროცესების დასრულებამდე იტალიელ სამართალდამცავებს სილვიო ბერლუსკონის დაპატიმრება არ შეუძლიათ, თავად ყოფილ პრემიერს კი განაჩენის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება რჩება.

ფხანინი საუბრით თავაჯსხმეობის ჯაქს ნყვას

ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეასთან თავდაუსხმეობისა და კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის თაობაზე დადებული ყველა შეთანხმება განწყვიტა.

“ბი-ბი-სი“-ის ცნობით, გადაწყვეტილება ჩრდილოეთ კორეამ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მის მიმართ გამკაცრებული სანქციების შემდეგ მიიღო. გაერომ ჩრდილოეთ კორეას სანქციები თებერვალში ჩატარებული ბირთვული ცდებისთვის დაუწესა. ჩრდილოეთ კორეის კომიტეტის მიერ გაავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქვეყანა წყვეტს სამხრეთ კორეასთან დადებულ შეთანხმებას თავდაუსხმეობის შესახებ და ხურავს სასაზღვრო პუნქტს, რომელიც კორეის ნახევარკუნძულის დაპირისპირებულ მხარეებს ჰყოფს.



ჩრდილოეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყნის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა სამხედრო ნაწილები მოინახულა და "მტრის გასანადგურებლად" მზადყოფნისკენ მოუწოდა.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. პეკინმა ყველა მხარეს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

"იოსოპსიხბნაღოიჩი"
იუსეი ბაზიხეი მოხვაიეიჩი
შუსაძეაბლობიჩის მორეა
ხოშანიეთა სიას აქვყნაბს
 მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ადამიანის კეთილდღეობის ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, ქართული ლვინისა და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 2013 წლის 25 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით ექსპერტთა ჯგუფი ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ 37 და მინერალური

წლების მწარმოებელ 4 საწარმოს გაეცნენ. ექსპერტთა მუშაობის შედეგად, ბოთლის ლვინის, კონიაკისა და მინერალური წყლების სახელმწიფო რეგისტრაციისთვის დოკუმენტების წარდგენის უფლება „როსპოტრეზნა-დზორმა“ ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ 36 და მინერალური წყლების 4 კომპანიას მისცა. რუსეთის ფედერაციის მთავრობის 28/08/2012 №866 ბრძანებულების მიხედვით, აღნიშნული პროდუქტების რეგისტრაცია მოსკოვში, ჰიგიენისა და ეპიდემოლოგიის სპეციალური კვლევების ცენტრის საარბიტრაჟო ლაბორატორიაში იწარმოებს. რუსი ექსპერტების სიაში მოხვდნენ ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი: „ახალშენი 2005“, „ბაგრატიონი 1882“, „ბადაგონი“, „ბატონო“, „ძმები ასკანელეები“, „ვაზი პლუსი“, „ლვინის მწარმოებელი ხარება“, „ვინივერია“, „ლვინის კომპანია დუგლაძე“, „შუმი“, „გრუზეინპრომი“, „ქართული ლვინის სახლი“, „კახეთის ტრადიციული

მელვინეობა“, „კახური ლვინის მარანი“, „კახური“, „ქიმერიონი“, „ქინძმარაულის მარანი“, „ალავერდი“, „ქართული ლვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი GWS“, „ქინძმარაული“, „ქართული ლვინო“, „მანავის მარანი“, „მარნისკარი“, „ოჟის მარანი (ალავერდის მონასტერი)“, „სარაჯიშვილი“, „გომი“, „თბილღვინო“, „თელავის ლვინის მარანი“, „თელიანი ველი“, „თბილისის მარანი“, „თბილისის ლვინის მარანი“, „წინანდლის ძველი ლვინის მარანი“, „გიორგი მარიანაშვილის ჩელტი“, „შატო მუხრანი“, „შუხმან ვაინზ ჯორჯია“, „ენისელი-ბაგრატიონი“ და მინერალური წყლის მწარმოებელი: „ბორჯომი“, „ნელსი“, „საირმე“, „აქვა გეო“. [\[1\]](#)



ღიას

ნუკრი ქანთარია

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი

რა თქმა უნდა, კულტურული ურთიერთობები ხელს შეუწყობს პოლიტიკური პროცესების დადებითად წარმართვას. ანსამბლი „ერისიონი“ წავიდა და ახლა კიდევ სუბიშვილების ანსამბლიც აპირებს წასვლას, შემდეგ სპექტაკლებიც გავა, შემდეგ ალბათ ისინიც ჩამოვლენ. ეს აბსოლუტურად სხვა კატეგორიაა და სულ სხვა ურთიერთობებია. ეს არ არის პოლიტიკური ურთიერთობები, სადაც ერთს ლაპარაკობენ და მეორეს ფიქრობენ. ეს ხალხი, ხელოვნების წარმომადგენლები რუსეთშიც და საქართველოშიც ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხია. მათ შეუძლიათ ეს ურთიერთობები საზოგადოებასაც გადასდონ და პოლიტიკოსებშიც იძულებულნი იქნებიან ეს დაკვეთა შეასრულონ. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა მოხდეს რამის ხარჯზე, მით უმეტეს ქვეყნის ინტერესების ხარჯზე. ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. მაგრამ წმინდა ადამიანური ურთიერთობები ხელოვნებს შორის გაცილებით ადვილია, რადგან ერთ საქმეს ემსახურებიან, თანამოაზრეები არიან.

ურთიერთობების მოგვარებაზე, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებშიც მუშაობენ. დიპლომატიაც ამიტომ არსებობს, ზურაბ აბაშიძე ამიტომაც ხვდება მათ და ჟენევის პროცესშიც ამიტომ მიმდინარეობს, მაგრამ ეს ცალკე მოედანია. კულტურული ურთიერთობები მხოლოდ დაეხმარება ამ პროცესს. დათბობის პროცესი, ურთიერთგაგების და ყინულის გადნობის პროცესი სწორედ აქედან დაიწყება. ყოველთვის ასე იყო და არაფერი ახალი ამაში არ არის. რატომ არსებობს ეს მოარული ფრაზა, რომ კულტურას არ არ აქვს საზღვრები? იმიტომ, რომ მართლაც ასეა.

გააჩნია, რა თვალთ შეხედავ, თუ შეხედავ იმ კუთხით, რომ გინდა რაღაც დაძრა, იქ ჩასვლა ერთგვარი ბრძოლაც არის. გასართობად მიდიანო, მხოლოდ ის ადამიანი იფიქრებს, ვისაც მართლა ნაკლებად გაეგება კულტურა. ჩვენი მოცუვავეები გასართობად კი არ ჩადიან, არამედ მუხტის გასაღვივებლად და დასაფიქრებლად, რასაც სწორედ ხელოვნების ნაწარმოები იწვევს. ■



ქახთუც-ჩუხუცი ხუცხუცი ხითიხი ახ ხუცს ქუყნებს შოხის ჰოცი

■ კულტურული ურთიერთობები

მხოლოდ დაეხმარება ამ პროცესს.

დათბობის პროცესი, ურთიერთგაგების

და ყინულის გადნობის პროცესი

სწორედ აქედან დაიწყება.



თოჯახის აღებანა შეწყობს თუ ხიჯახი ჰქოსასახის დაცვას?

■ ეს დაახლოებით იგივეა, მაგალითად, საფრანგეთის ოკუპაციის დროს ხელოვანებს დაეწყო ურთიერთობის აღდგენა ჰიტლერთან, ჩასულიყვნენ და რაიხსტაგში გაემართათ ცეკვა-თამაში, ფილმები გადაეღოთ და ა.შ.

არა

შოთა მალაშვილი

პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

ერთი რამ ცხადია და ამაზე არავინ დაობს, ვგულისხმობ საერთაშორისო საზოგადოებას და ახლა პარლამენტის რეზოლუციას, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია. მოხდა ეთნონმენდა, და ვლადიმერ პუტინმა დაანაშაულა კაცობრიობის წინაშე. ის აზრი, რომ ამ დანაშაულის გამოსწორება შეიძლება კრემლში ცეკვა-თამაშით, ეს არ შეიძლება სერიოზულად იყოს აღქმული.

ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ურთიერთობები ოლონდ არა კრემლში ვიზიტი და კრემლში ცეკვა. ეს დაახლოებით იგივეა, მაგალითად, საფრანგეთის ოკუპაციის დროს ხელოვანებს დაეწყო ურთიერთობის აღდგენა ჰიტლერთან, ჩასულიყვნენ და რაიხსტაგში გაემართათ ცეკვა-თამაში, ფილმები გადაეღოთ და ა.შ.

მაგრამ ეს არ გამოორიცხავს ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს, ამისთვის იყო ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ რუსეთს სავიზო რეჟიმი მოეხსნა, რათა რუსი ტურისტები ჩამოსულიყვნენ და რეალურად ენახათ, რომ ხალხის მიმართ განწყობა არის ნორმალური და ეს ასეც იქნება, მაგრამ აქ ლაპარაკია რუსულ იმპერიულ პოლიტიკაზე. არსებობს კადრები სადაც პუტინი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დამლა გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. ამის გარდა, პუტინს ნათქვამი აქვს, რომ 2007 წლის დასაწყისში მათ ჰქონდათ საქართველოში შეჭრის გეგმა. ამ ფონზეა ლაპარაკი, ცეკვა-თამაში როგორ გამოასწორებს ამ მდგომარეობას?

გავიხსენოთ ამბროსი ხელაია, წმინდანად შერაცხული საქართველოს პატრიარქი, რომელმაც პირველად გამოიყენა სიტყვა „ოკუპაცია“. უფრო დიდი პატრიოტი ხომ ვერავინ იქნება ვერც სამღვდლოებიდან და ვერც კულტურული წრეებიდან. ეს კაცი ამბობდა – მზად ვარ იარაღით ხელში ვებრძოლო ოკუპანტებსო.

ამასთან ერთად პარალელურად დღევანდელ დღესაც მიდის სამხედრო კონტიგენტის გაძლიერება ცხინვალის და აფხაზეთი ტერიტორიაზე და სულაც არ აპირებს რუსეთი აღიარების პროცესის უკან წაღებას. ამ მდგომარეობის გამოსწორების თეორიული შანსიც არ არსებობს, მით უმეტეს, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებები ანგრევს იმასაც, რასაც უკვე მივაღწიეთ. **■**



ფოტო: სიმონ ლავროვი

"ქალაქი აღაშინათა ხითობა"

ინტერვიუ ურბანისტ და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთან,
ლადო ვარდოსანიძესთან

უკანასკნელ ოცნლეულში თბილისი საგრძნობლად შეიცვლა. ურბანულ გარემოზე, ქალაქგეგმარების პრობლემებზე, ძველი თბილისის სახეზე, სოციალურ საცხოვრისებსა და სხვა საინტერესო თემებზე „ლიბერალი“ ურბანისტს, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს ლადო ვარდოსანიძეს ესაუბრა.

რა პრობლემებია ყველაზე აქტუალური დღეისთვის ქალაქში?

ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სივრცეების ბედა: ბალ-პარკები, მოედნები, ქუჩები, სანაპიროები, პრომენადები... ერთ-ერთი დიდი პრობლემა საზოგადოებრივი გარემოს კუთხით

ტროტუარების მოუნესრიგებლობაცაა. ქვეითი ვარ – ქალაქი სწორედ ამ პოზიციიდან იგრძნობა უკეთ და არა ჯიპის ჩაბნელებული ფანჯრებიდან. ჩვენთან ქუჩის რეკონსტრუქციას მხოლოდ ავტომობილების სავალი ნაწილის რეკონსტრუქციად მიიჩნევენ, მაშინ,

როცა ქუჩა შედგება ავტომობილის სავალი ნაწილისგან, ტროტუარებისგან, საინჟინრო მოწყობილობისგან და ა.შ.

ამ პრობლემაზე არანაკლებ მნიშვნელოვნი და, მე ვიტყვოდი, ლამის ტრაგიკულია საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა. სანიტარიული კულტურა

ქალაქში ძალიან დაბალ დონეზეა და ნელა ვითარდება.

კიდევ ერთი დიდი ხარვეზი ძველ ქალაქში განათების სიჭარბეა. ბევრი არ ნიშნავს კარგს. ლამის განათება გარეფასადებზეა მინათებული, რაც აბსურდია – საცხოვრებელი სახლი შიგნიდან უნდა ანათებდეს. ეს გაცილებით უფრო თბილი, ადამიანური და სარწმუნო იქნებოდა. ეკლესიებსაც ძალიან ცუდად ანათებენ: გუმბათის ჩარდახი ხშირად არ ნათდება და ეკლესიები თავმოკვეთილებივით დგას. მოსახსნელია ფერად-ფერადი განათება ბარათაშვილის ქუჩიდანაც. სინათლის რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოსახვისკენ სწრაფვა და „თბილისი-სინათლის ქალაქის“ რიტორიკა გონიერების საზღვრებს სცილდება.

თბილისი უკანასკნელ ხანს ძალიან შეიცვალა. რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე ქალაქგეგმარება?

ზოგადად, თუ ადრე ქალაქგანვითარებაში მშენებლობა, დანგრევა ან რეკონსტრუქცია იგულისხმებოდა, დღეს ურბან-მენეჯმენტი მართვის გაცილებით დახვეწილ, რბილ ფორმებზე გადავიდა და კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრას, თანამონაწილეობით, ე.წ. პარტისიპატიურ დაგეგმვას ცდილობს.

თანამონაწილეობითი გეგმარების პრაქტიკას დაახლოებით 100 წლის ისტორია აქვს. შოტლანდიელმა ქალაქმშენებელმა პატრიკ გედდესმა ქალაქგანვითარებაში მოსახლეობის მონაწილეობის სამი სტადია გამოყო: სრული ინფორმირებულობა (რაც ჩვენთან დიდი პრობლემაა, თუნდაც „ჩაინა-თაუნის“ მაგალითი რომ ავიღოთ), მოსახლეობისგან ინფორმაციის მიღება, მათი სურვილების, საჭიროებების შესწავლა, პირდაპირი კავშირი მათთან და მესამე – მოსახლეობის მონაწილეობა საკუთრივ დაგეგმარებაშიც კი, ზოგჯერ ვეტოს უფლებით.

რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია მოქალაქეების მონაწილეობა ქალაქგეგმარებაში. საუკეთესო მაგალითად შეიძლება ინგლისი,

ჰოლანდია და, ზოგადად, კლასიკური დემოკრატიის ქვეყნები მოვიყვანოთ, სადაც დემოკრატია მხოლოდ არჩევნების დღეს კი არ ესმით, არამედ მოქალაქეები ყოველდღიურად არიან ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში.

სულხან-საბა ორბელიანს აქვს ქალაქის საუკეთესო განმარტება – გაცდები, იმდენად ღრმად აქვს გაგებული ქალაქის არსი: „თანამრავლობასა და თანასახლობასა ქალაქსახელდების ვინათგან ვერ კმაეყოფის ერთი კაცი თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწეოდეთ ერთი მეორესა

■ ამ პრობლემაზე არანაკლებ მნიშვნელოვნი და, მე ვიტყვოდი, ლამის ტრაგიკულია საზოგადოებრივი ტრულეტების არარსებობა. სანიტარიული კულტურა ქალაქში ძალიან დაბალ დონეზეა და ნელა ვითარდება.

და სარგებელსა მივანაყოფებდეთ,“ – ანუ, უწინარესად, ქალაქი ადამიანთა ერთობაა და არა შენობა-ნაგებობები, ქუჩები და ბალ-პარკები, ქალაქი ვართ ჩვენ.

ჯერ კიდევ ისიდორე სევილიელი ამბობდა, რომ ქალაქი არის არა ქვები, არამედ მასში მცოვრები ადამიანები; თანაცხოვრების წესი – „civitas“ და არა განაშენიანების ხასიათი, „urbs“.

ქალაქგეგმარების იდელების განსახორციელებლად რა პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური გარემოებებია მნიშვნელოვანი?

თანამედროვე ქალაქი ზოგადად, კაპიტალიზმმა შექმნა. შუა საუკუნეებში ქალაქურმა კულტურამ თავის მწვერვალს იქ მიაღწია, სადაც კაპიტალიზმი იყო განვითარებული. ეს მარტო წარმოებას კი არა, ეთიკურ სისტემებსაც ეხება, გაიხსენეთ ე.წ. „პროტესტანტული ეთიკა“ და ა.შ. ჩვენთან, ისტორიულად უფრო რაინდული ეთიკა იყო დომინანტური და ვაჭრობა ყოველთვის უარყოფით შინაარსს ატარებდა.

დღეს კი ურბანისტი არ შეიძლება მემარცხენე არ იყოს, რადგანაც ჩვენ ვემსახურებით ქალაქის თემს, საზოგადოებას, ვზრუნავთ საჯარო სივრცეებზე, ბალებზე, პარკებზე, სადაც ხანდახან ძალიან დაუდევრად იჭრება „მოცულობითი“ არქიტექტურა, რომელიც კერძო დაკვეთებს ასრულებს.

ზოგადად, ეს მწვავე საკითხია. მემარცხენეობით 1920-იან წლებში მთელი მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტა იყო „დაავადებული“. რაკი ახალ საზოგადოებას აშენებდა, განსაკუთრებული ნდობა და მოლოდინი ჰქონდათ საბჭოთა კავშირისადმი. იმ პერიოდში აქ ჩამოვიდნენ მსოფლიოს საუკეთესო არქიტექტორები – კორბუზიე, გერმანელი არქიტექტორები, რომლებმაც სამრეწველო ქალაქები დააპროექტეს. მოგვიანებით, საბჭოთა სახელმწიფოს ტერორისტული ბუნების გამოვლენის შემდეგ ეს რწმენა გაქარწყლდა და ინტელექტუალების დამოკიდებულებაც შეიცვალა. თუმცა, საბჭოთა ქალაქმშენებლობის სისტემა ამის მიუხედავად, გაცილებით მწყობრი იყო, ვიდრე ჩვენი დღევანდელი პრაქტიკა. ეს ადვილი ასახსნელიცაა: ქალაქმშენებლობის ობიექტი ქალაქის ტერიტორია იყო, სუბიექტი კი – სახელმწიფო. ამიტომ, დაგეგმვაც, დაპროექტებაც და ექსპერტიზაც უადვილდებოდა. დამოუკიდებლობამ რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოგვიტანა და დღეს ქალაქგანვითარების უამრავი სუბიექტი გვყავს: ასეთია ყველა, ვინც ქალაქში რაიმე უძრავ ქონებას ფლობს. ეს კი ძალიან ართულებს ურბან-მენეჯმენტს და აღრევა, რაც დღეს გვაქვს, გარდამავალ ეტაპზე მყოფი საზოგა-

დოებისთვის ბუნებრივია. თუმცა, ამაში არ ვგულისხმობ საზოგადოებრივი სივრცეების განადგურებას. პირველ რიგში, ბალ-პარკებისას – ეს გამორიცხული უნდა იყოს.

რა შემოგვრჩა საბჭოთა კავშირის არქიტექტურიდან და რა მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლების შენარჩუნებას?

როგორც გითხარით, 20-იანი წლების საბჭოთა არქიტექტურა მსოფლიო ავანგარდში იყო. იმ დროის ყველაზე ცნობილი შენობა მსოფლიო არქიტექტურაში ვლადიმერ ტატლინის კოშკია, რომელიც მან III ინტერნაციონალს მიუძღვნა. ამ კოშკის ფორმები დღესაც ხშირად მეორდება დეკონსტრუქტივისტულ არქიტექტურაში. თუნდაც ფუქსასის შემოქმედება დეკონსტრუქტივიზმისა და არქიტექტურული ბიონიკის სინთეზია. ბიონიკა ცოცხალი ორგანიზმების მიბაძვა ფორმებით. დეკონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ ხაზგასმით აგრესიულია გარემოს მიმართ – არსებულ გარემოში იჭრება, არანაირ ყურადღებას არ აქცევს მას და ბოლომდე უარყოფს კონტექსტუალურს, ისე იჭრება თანამედროვე ქალაქების სხეულში. ამის მაგალითია თუნდაც იუსტიის სახლი თბილისში.

მაგრამ, განსაკუთრებით სკანდალური რიყის დარბაზები – ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი ფორმები, აშკარა ძალადობა გარემოზე. ვფიქრობ, რიყეზე ფუქსასის მიღები უნდა დაიბალოს.

მსოფლიოში დეკონსტრუქტივიზმის დადებითი მაგალითებიც გვაქვს. მაგალითად, ბილბაოში გუგენჰაიმის მუზეუმი. თუმცა ამ ეფექტის მისაღწევად იქ წყლის სარკეებია გამოყენებული, რაც უფრო მისაღებია და არ მუშაობს ძველი ქალაქის ვიზუალურ დამორჩილებაზე. ჩვენს შემთხვევაში კი ეს საკონცერტო დარბაზი ძველი ქალაქის შუაგულშია ჩასმული, პანორამაში ძალიან აგრესიულად მონაწილეობს და ფარდასავით ეფარება ავლაბრის აღმართს, საიდანაც ძველი თბილისის საუკეთესო ხედი იყო.

რიყის ტერიტორიის ათვისებაზე

საბჭოთა ხელისუფლების დროს რამდენიმე კონკურსი იყო გამოცხადებული, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოგვცა კარგი შედეგი და არც ერთი ნამუშევარი არ დამტკიცდა. ყველა წინა მთავრობა ფრთხილობდა რიყესთან მიმართებით და სარეზერვოდ ინახავდა ამ ტერიტორიას.

ლეკალური ფორმების გამოყენება ზოგადად დამახასიათებელია თანამედროვე არქიტექტურისთვის. გარკვეულწილად, ეს მართი კუთხის დიქტატურაა, რომელიც 60-70-იან წლებამდე დომინირებდა და მთელი გეგმარებითი ფილოსოფია მართი კუთხის ფილოსოფიაზე იყო აგებული. ესეც 20-იანი წლებიდან მოდის, როდესაც მინიმალისტური არქიტექტურა დომინირებდა. 20-იან წლებში, ავანგარდის დამკვიდრების პარალელურად, რუსეთში იდეოლოგიურად უარყოფილ იქნა მოდერნი და დაახლოებით 60-იანი წლების შუა პერიოდამდე აკრძალული იყო.

მოდერნი იყო ტოტალური არქიტექტურისა და დიზაინის სტილი, როდესაც არქიტექტორი შენობასაც აგეგმარებდა და ინტერიერის ელემენტებსაც. ეს სტილი ბუნებას მეტად ბაძავდა, ვიდრე ანთროპოგენულ ფორმებს.

სასტუმრო „რედისონს“ რაც შეეხება, სხვა შემთხვევა – ადრე აქ იყო სასტუმრო „ივერია“, რომელიც რეგიონული არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენდა თავისი ღია აივნების სისტემით, სამშენებლო მასალით (თემის ცისფერი ტუფი). ამჟამად გვაქვს ტექნოლოგიურად, ალბათ, უკეთესი შენობა, მაგრამ უკვე უცვივრიპირო, მოქალაქეობის არმქონე ინტერნაციონალური სტილის ნაგებობა – შენობა-აპატრიდი. ვერც ერთი არქიტექტორი ვერ ამოიცნობს, სად არის აშენებული: ფრანკფურტში, შანჰაიში, მოსკოვში თუ თბილისში.

მოდერნული მემკვიდრეობის შენარჩუნების თაობაზე რა შეიძლება ითქვას?

თავიდან, საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ნანარმოებები ძეგლებად აღირიცხა. კულტურული ძეგლების დაცვის შესახებ კანონის

პირველ რედაქციაში ძეგლების გაყიდვა იკრძალებოდა. იმისთვის, რომ გაეყიდათ, 2006-ში კულტურის მინისტრმა ბრძანებით ძეგლის სტატუსი მოუხსნა როგორც „იმელის“ შენობას, ისევე ბათუმის „ინტურისტს“. ორივე ერთი და იმავე ავტორის, შჩუსევის ნამუშევარია. „იმელი“ გაიყიდა და რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. შემდეგ, შეგნებულად გამოშინეს, არადა იქ არაჩვეულებრივი ფურნიტურა იყო – სახელურები, ქალები დერეფნებში, ინტერიერში გამოყენებული იყო ძვირფასი ხის ჯიშები, და ეს ყველაფერი შჩუსევის სახელოსნოში იყო დაპროექტებული. ეს შენობა მართო არქიტექტურის კი არა, ისტორიის ძეგლიც იყო – დროებით აქ მუშაობდა საქართველოს პარლამენტი, როცა რუსთაველზე პარლამენტის შენობა დანგრეული იყო. ამ შენობის გაყიდვა შეცდომა გახლდათ. ძალიან საინტერესოა „იმელის“ ფასადების რადიკალური განსხვავება რუსთაველის მხრიდან და უკანა მხრიდან. „იმელი“ იმ პერიოდში შენდებოდა, როდესაც კონსტრუქტივიზმიდან სტალინურ არქიტექტურაზე მოხდა გარდატეხა და სოციალურ-პოლიტიკური დაკვეთა შეიცვალა – ეს აისახა წინა ფასადის შეცვლაში. უკანა ფასადი კონსტრუქტივიზმის სტილში დარჩა, რომელიც საბჭოეთში 30-იან წლებამდე გრძელდებოდა. ამდენად ეს შენობა საბჭოთა არქიტექტურის, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების გადამლილი წიგნია. ეს არის ერთდროულად შენობა-მონუმე, შენობა-ბრალმდებელი და შენობა-მსხვერპლი.

მის დღევანდელ ბედს რაც შეეხება, ობიექტი ინვესტორს იმ პირობით გადაეცა, რომ მის უკან ცათამბჯენის აშენების სანაცვლოდ, ამ შენობის რესტავრაცია მოხდეს. ახლა ბრძოლა იმაზეა, რაც შეიძლება მცირე რაოდენობის სართულზე შეთანხმდნენ ქალაქი და ინვესტორი. სამწუხაროდ, ჩვენ ამ შენობის მიმართ შეგნებულად ჩადენილი ცოდვების გამოსწორება გვიწევს.

თბილისი თავის დროზე ნომინირებული იყო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად.

ԿԱՇԿԱԿՆԵՐ



ՄԱՅՈՒՆ ԵՐԿՐԵՐ ԼՈՐԵՐԵ ԶՇԵՄԲ
ԲԱՅՈՒՆԻ 00:22 ԿԱՅՈՒՆ



მაშინ უარი მივიღეთ და რეკომენდაციები მოგვცეს, გამოგვესწორებინა კანონმდებლობა, დაგვეხვეწა ძველი ქალაქის მართვის ფორმები, ალგვენუსხა არქიტექტურული ძეგლები და შეგვეწყვიტა უმსგავსი მშენებლობები. მშენებლობების გარდა, ყველა საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარდა. ახლა ლამის შტურმით იღებენ მთანმინდას, სულ უფრო მალა მიდის განაშენიანება და მთანმინდის პროფანაცია ხდება. პირველ პლანზე ჩვენთან წამოვიდა არა ურბანული გარემოს ფასეულობები, არამედ ფასები, რაც დიამეტრიულად განსხვავებული ცნებებია.

თბილისში თანამედროვე უბნების მშენებლობას როგორ შეაფასებთ?

ურბანიზაციაში ორი ფაზა გამოიყოფა, ქალაქებში ყველაფრის კონცენტრირება და შემდეგ, გარკვეული ფუნქციების გასვლა ქალაქიდან – სუბურბანიზაცია. ზოგადად, ჩვენი კულტურა ადამიანის მობილობაზე ორიენტირებული არაა და ადგილზე დაფუნქციონირებას მიდრეკილი. ამის კარგი მაგალითია ის, რომ როდესაც ეკონომიკური ზრდა დაიწყო ქვეყანაში, მოქალაქეებმა საკუთარი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მიშენება-დაშენებებით დაიწყეს. განსხვავებული არჩევანი გააკეთა ძალიან შეძლებულმა ვინო ფენამ, რომელსაც ურჩევნია ცალკე იცხოვროს, საკუთარ სოციალურ წყურფთან ერთად. გაჩნდა მოსახლეობის შეძლებული კატეგორია, რომელსაც რამდენიმე მანქანა და მძლოლი ჰყავს, გადაადგილების პრობლემა არ აქვს და ურჩევნია ერთმანეთს შეუთავსოს ურბანული და ბუნებაში ცხოვრების სიკეთეები: სუფთა ჰაერი, მინასთან ურთიერთობა, სიმშვიდე, ჩიტების ჭიკჭიკი და ა.შ. და ასე გაჩნდა ე.წ. „კარჩაკეტილი“, დახურული სამეზობლოები. მაგალითად, „კრწანისის ველი“, „ამერიკული სოფელი“, დიღმის საცდელი მეურნეობის ვენახებში გაშენებული კოტეჯები სამეტრიანი ყრუ კედლებით და ა.შ. ამით ქალაქი აღრმავებს თავის სოციალურ განმრევებას. თუმცა, ეს ნებისმიერი

ქალაქისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა. საბჭოთა კავშირის დროსაც, ვაკე და გლდანი ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ მაშინ ეს დაპირისპირება დაფარული იყო. ამას საჯაროდ არ ამბობდნენ, რაკი ერთიანი საბჭოთა ხალხის იდეა არსებობდა. დღეს კი სააშკარაოზე გამოტანილი საზოგადოებაში მდიდარი ადამიანის უპირატესობა.

თბილისში პრაქტიკულად არ არსებობს სოციალური საცხოვრებლები, რა პოლიტიკა უნდა ჰქონდეს ქალაქს საბინაო ფონდთან მიმართებით?

■ ახლა ლამის შტურმით

იღებენ მთანმინდას,

სულ უფრო მალა

მიდის განაშენიანება

და ,მთანმინდის

პროფანაცია ხდება.

პირველ პლანზე ჩვენთან

წამოვიდა არა ურბანული

გარემოს ფასეულობები,

არამედ ფასები, რაც

დიამეტრიულად

განსხვავებული ცნებებია.

ჩვენთან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბინების მასობრივი და გაუაზრებელი პრივატიზება მოხდა. მოსახლეობამ იმთავითვე შეითვისა მესაკუთრის როლი და უფლებები, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა მესაკუთრის მოვალეობებზე. დასავლურ კულტურაში ეს მომენტი მკაფიოდაა გამოკვეთილი და გერმანიის მიწის კონსტიტუციაში სიტყვასიტყვითაა ჩანერილი: „საკუთრება ავალდებულებს“. შენი საკუთრებით სარგებლობა არ უნდა ნიშნავდეს სხვათა უფლებების შელახვას.

საბჭოთა მმართველობის დროს ქვეყანაში თითქმის მთელი საბინაო ფონდი სოციალური იყო და ბინის მიღების რეალური თუ ილუზორული შანსი ყველას ჰქონდა. ჩვენ კი სოციალური საცხოვრისი აბსოლუტურად დავკარგეთ, რაც დიდი დარტყმაა სოციალური სისტემისთვის და უგულებელყოფილია იმ ადამიანთა ინტერესები, რომლებსაც ბინა არ აქვთ. ითვლება, რომ ქირით ცხოვრება ჩვენს ნორმებში არ შედის. ლამის მთელი მსოფლიოს ნახევარი ქირით ცხოვრობს – ახალგაზრდა ოჯახები, სტუდენტები თუ სხვები, და ეს სავსებით ნორმალურია. მთავარია, რა შემოსავალი აქვს ადამიანს და რას იხდის ქირაში. დასავლეთში ითვლება, რომ სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარმა, ანუ პრეტენდენტმა, შემოსავლის 25-30%-ზე მეტი არ უნდა გადაიხადოს ბინაში. სოციალური საცხოვრისის პრივატიზება არ შეიძლება.

საქართველოში საბინაო საჭიროებების ზუსტი სტატისტიკაც არ არსებობს. 2002 წლის აღწერის დროს პირველად დაფიქსირდა უსახლკარო ოჯახები, რაც გარკვეულწილად 90-იანებში სოფლიდან ქალაქად მიგრაციის შედეგია, რაკი გარემო, ინფრასტრუქტურა და საარსებო რესურსები მხოლოდ ქალაქებში იყო თავმოყრილი.

იმავითავე ქვეყანა, სადაც არ იარსებებს მუნიციპალური საცხოვრისი და სადაც ამ პრობლემაზე არ ზრუნავს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები.

რამდენიმე წლის წინ შვეიცარიის განვითარების სააგენტომ ვარკეთილში პირველი სოციალური საცხოვრისი ააშენა. ახლა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ამ სააგენტოსა და ერთ-ერთი შვეიცარული უნივერსიტეტის ხელშეწყობით, სტუდენტური საცხოვრისის პროექტზე ვმუშაობთ. მერამ უკვე უსასყიდლოდ გამოყო ორი ნაკვეთი. კონკურსის გამარჯვებულ პროექტს კი, იმედი გვაქვს, სათანადო სრულყოფის შემდეგ, დაამტკიცებენ და საბინაო მშენებლობის ეს მიმართულება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაგრძელდება. **■**

ესაუბრა ანი ჭანკოტაძე

რატომ არიან
მდიდარი ადამიანები
მდიდრები

იოჰან
ფუსტი

ადამიანი, რომელმაც
იცოდა, როგორ
გამოეყენებინა ახალი
შესაძლებლობები



13.95%

სამომხმარებლო
სესხზე



თიბისი ბანკი
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📠 +27 27

www.tcbank.ge

ხოჯაბისასიის ჰიხმუო

გასულ კვირას პრემიერი ივანიშვილი მიხილ სააკაშვილსა და კოტე კუბლაშვილს შეხვდა. ფორმით ერთმანეთის მსგავსი ეს ორი შეხვედრა შინაარსით ერთმანეთისაგან ცა და დედამინასავით განსხვავდებოდა.

ირაკლი აბსანძე

„თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს – თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს ააღებინოთ პასუხისმგებლობა და ამით „შეადულაბოთ“ თქვენი რიგები“ – მიმართა 26 თებერვალს ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილს.

7 მარტს, საქართველოს პარლამენტმა 96 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ, მიიღო რეზოლუცია, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს.

ამ რეზოლუციაში ყველაფერია გათვალისწინებული, რაც ვანო მერაბიშვილმა ორი თვით ადრე დაანონსებულ 19 აპრილის აქციის მთავარ მოთხოვნებად გაგვაცნო. არა – რუსეთის ინიციატივით შექმნილ პოსტსაბჭოთა გაერთიანებებს და მყარი დასტური დასავლური კურსის უცვლელობას. რეზოლუციას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმაც დაუჭირეს მხარი. შესაბამისად, ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ 19 აპრილისათვის დაანონსებული მსხვილ-მასშტაბიანი აქციის საფუძველი აღარ არსებობს. კომიკური იქნებოდა რუსთაველზე, პარლამენტის ცარიელი შენობის წინ მოვითხოვოთ ის, რაზეც უკვე შეთანხმდა უმცირესობა-უმრავლესობა.

26 თებერვლიდან 7 მარტამდე ბიძინა ივანიშვილს ორი კოჰაბიტაციური შეხვედრა ჰქონდა – მიხილ სააკაშვილთან და კოტე კუბლაშვილთან. „ქართული ოცნე-

ბის“ მთავარი გამოწვევა ამ დროისთვის წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის ისე დაყენებაა, რომ პროცესი პოლიტიკურ ანგარიშსწორებას არ დაემსგავსოს. ამ კონტექსტში ხშირად საუბრობენ ხელისუფლების ოპოზიციაში ჩამდგარ სასამართლო სისტემაზე, თუმცა პრემიერ-მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრის შემდეგ გაკეთებული კომენტარები ფრიად კეთილგანზობილად უღერდა. „საუბარი საერთოდ შეეხებოდა იმას, რომ სასამართლო უნდა იყოს აუცილებლად დამოუკიდებელი როგორც ახალი, ისე ძველი გუნდისაგან და რაც მთავარია, საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს და ირწმუნოს, რომ სასამართლო არის სამართლიანი,“ – თქვა ივანიშვილმა შეხვედრის შემდეგ და დააკონკრეტა, რომ სიტყვა „იმპიჩმენტი“ შეხვედრაზე არც კი დასცდენიათ.

ერთი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალიც: ივანიშვილი და კუბლაშვილი მედიას ერთობლივ ბრიფინგზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარნი ესაუბრნენ, ივანიშვილი-საკაშვილის შეხვედრის შემდეგ კი მხარეები ჟურნალისტებს ერთმანეთისაგან რამდენიმე სართულით დაშორებულ დარბაზებში შეხვდნენ. ივანიშვილის ტონი ძალიან ჰგავდა მისი პოლიტიკაში გამოჩენისდროინდელ რიტორიკას – „ქვეყანაში ერთი კაცის პრობლემაა“. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამართული მეორე პირისპირ შეხვედრა მთავრობის კანცელარიის შენობის მე-11 სართულზე განთავსებულ პრეზიდენტის რეზიდენციაში შედგა, რომელშიც სააკაშვილს 2009 წელს პრეზიდენტის სასახლეში გადასვლის შემდეგ

აღარ უმუშავია. ხელის სწრაფი ჩამორთმევისას ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილისთვის არც კი შეუხედავს. შეხვედრა, რომელიც დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა, პრეზიდენტმა „საინტერესოდ“ შეაფასა, პრემიერ-მინისტრმა კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ ეს იყო „შეხვედრა შეხვედრისთვის“ და მასზე სააკაშვილი „მოუშვადებელი“ მივიდა.

„რა თქმა უნდა, რომ გითხრათ, რომ დღეს ყველაფერზე შევთანხმდით, ვერ შევთანხმდებოდით იმიტომ, რომ ჩვენი მსოფლმხედველობები ბევრ საკითხზე, ზოგადად მსოფლმხედველობაზე განსხვავდება და კონკრეტულ საკითხებზე ხედვა განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მე ვფიქრობ, ორივე შევთანხმდით იმაზე, რომ ჩვენ ორივე საქართველოს შვილები ვართ, რომ საქართველოს უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ქართველ ხალხს სჭირდება სიმშვიდე სტაბილურობა და გარანტიები გრძელვადიანი განვითარების,“ – განუცხადა შეხვედრის დასრულებისას შესამჩნევად ადუღებულმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს.

„ამდენ ხანს პასუხი ვერ გაცა საჯაროდ და პოზიცია არ ჩამოუყალიბებია (საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რედ.), რაზეც მითხრა ძალიან საინტერესო რამ: „აქ რა უნდა ვთქვაო, ჩვეულებრივი საპრეზიდენტო რესპუბლიკააო“. მე დავეუკონკრეტე, რომ „როგორც ჩვეულებრივ, პრეზიდენტს შეუძლია, რომ დანიშნოს მთავრობა პარლამენტთან შეთანხმების გარეშე?“. ამის შემდგომ მან თქვა, რომ რამდენიმე მაგალითს მომიყვანს. მან ვერც ერთი მაგალითი ვერ მომიყვანა, ვერც ერთი ქვეყანა ვერ და-



ფოტო: ბიზნესი.გე

ასახელა და შემდეგ თქვა, რომ საჯარო განცხადებას გააკეთებდა და რამდენიმე ქვეყანას დაასახელებდა, სადაც მსგავსი უფლებები აქვთ პრეზიდენტებს, – კატეგორიული იყო შეხვედრის შემდეგ პრემიერი ივანიშვილი.

კუბლაშვილთან მიმართებაში ივანიშვილის ტონის შერბილება, შესაძლოა, ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან ჯანი ბუკიკიოს ვიზიტმაც განაპირობა. ამას ადასტურებს 8 მარტს გამოქვეყნებული დასკვნაც. „ვენეციის კომისია თვლის, რომ პარლამენტი კვალიფიციური უმრავლესობით – ორი მესამედით უნდა ირჩევდეს საბჭოს წევრებს, იმ მექანიზმების გათვალისწინებით, რომ ჩიხში შესვლა გამოირიცხოს, ან რაიმე სხვაგვარი მეთოდით, რომელიც საბჭოს შემადგენლობაზე ოპოზიციის ზეგავლენას უზრუნველყოფს,“ – ნათქვამია „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებების თაობაზე კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში.

არც ის არის გამორიცხული, რომ პრემიერ-მინისტრს სასამართლო ხელისუფლების მიმართ ხისტი რიტორიკის შეცვლა ახალდაქირავებულმა ლობისტებმაც ურჩიეს. ბრიუსელში მდებარე კომპანია Cambre Associates-ს საქართველოს მთავრობა თვეში 40 000 ევროს, გავლენიან ამერიკულ ლობისტურ და იურიდიული კომპანია Patton Boggs-ს კი – თვეში 90 000 აშშ დოლარს გადაუხდის.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას მუდმივად საყვედურობდნენ გადასახადის გადამხდელთა ფულის ლობისტე-

■ ივანიშვილი-საკაშვილის შეხვედრის შემდეგ კი მხარეები ურუნალისტებს ერთმანეთისაგან რამდენიმე სართულით დაშორებულ დარბაზებში შეხვდნენ. ივანიშვილის ტონი ძალიან გავდა მისი პოლიტიკაში გამოჩენისდროინდელ რიტორიკას – „ქვეყანაში ერთი კაცის პრობლემა“.

ბისთვის გადახდას. ხშირად საუბრობდნენ, რომ თანხის დიდი ნაწილი ვინრო პარტიული ინტერესების ლობირებას ხმარდებოდა. პირველი ოფიციალური ციფრები 6 მარტს გამოქვეყნდა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა ურუნალისტებს განუცხადა, რომ წინა მთავრობის პირობებში ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებული „კონტრაქტების 80%“ გასაიდუმლოებული იყო. კონტრაქტებს ძირითადად უშიშროების საბჭო აფორმებდა და ბოლო 2 წლის განმავლობაში ამ მიზნით 32 მილიონი ლარი დაიხარჯა. „უნდა აღინიშნოს, რომ რიგი ღონისძიებების, ამ კონტრაქტებით გათვალისწინებული, ნამდვილად ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესების დაცვას, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ეჭვის საგანია“, – უთხრა ბერუჩაშვილმა ურუნალისტებს 6 მარტს.

უშიშროების საბჭოს ბიუჯეტი 2012 წელს 21 მილიონი ლარი იყო. მას შემდეგ, რაც ახალმა მთავრობამ ბიუჯეტი 1,8 მილიონ ლარამდე შეუმცირა, უშიშროების

საბჭო იძულებული გახდა ლობისტებთან გაფორმებული კონტრაქტები შეეწყვიტა.

სახელმწიფო სტრუქტურებიდან, საქართველოს მთავრობის გარდა, დასავლელ ლობისტებს ამჟამად მხოლოდ პრეზიდენტი ქირაობს. სააკაშვილის ადმინისტრაციას 200 000 აშშ დოლარის ლიზინგების ათოვანი კონტრაქტი აქვს „მთავრობასთან ურთიერთობების და კომუნიკაციების საკითხებში“ კონსულტანტთან აშშ-ში გრეგორი მანიატისთან Ithaca Group-იდან.

საეჭვოა სააკაშვილი-ივანიშვილის დაძაბული ურთიერთობის მონესრიგება გრეგორი მანიატისმა შეძლოს. დრო სააკაშვილზე აღარ მუშაობს. კოჰაბიტაციის პირმშო, „საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, პრეზიდენტის საჯარო და აქტიური მონაწილეობის გარეშე შედგა. როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდი დრო აღარ აქვს დარჩენილი თითქოსდა დილემურ კითხვაზე პასუხის გასაცემად – სააკაშვილთან ერთად თუ სააკაშვილის გარეშე? **■**

ხახომ იბვიანებს სამახთანი?

უფლებადამცველთა ნაწილი მიიჩნევს, რომ
სამართლიანობის აღდგენის პროცესი ხარვეზებით
მიმდინარეობს.

ზურაბ ვარდიაშვილი

პირობა

„სამართლიანობის აღდგენის პროცესი და-
წყებულია და კარგად ვითარდება,“ – განა-
ცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა
ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის ასდღიანი
მუშაობის შეფასებისას.

უფლებადამცველთა ნაწილი მის ასეთ
განწყობას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ
პროცესი ჭიანჭურდება. სამართლიანობის
აღდგენაში გახმაურებული საქმეების გამო-
ძიება, დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯა,
წამების თუ არაადამიანური მოპყრობის
მსხვერპლთა რეაბილიტაცია და რესოციალი-
ზაცია იგულისხმება.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი
დაპირება სწორედ ეს იყო. არ მოიძებნება გა-
მარჯვებული კოალიციის არც ერთი ლიდერი,
რომელსაც ამ საკითხზე კომენტარი არ გა-
ეკეთებინოს და ამომრჩეველს სამართლიანო-
ბის აღდგენას არ დაჰპირებოდეს.

ახალი პოლიტიკური ძალის გამარჯვები-
დან უკვე თითქმის ნახევარი წელი გავიდა, ეს
დრო საკმარისია, რათა შეეფასოთ, თუ რო-
გორ სრულდება ამომრჩეველთან დადებული
პირობა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია;“ „საერთაშორისო გამჭვირვალო-
ბა – საქართველო;“ „გლობალური ინიციატი-
ვა ფსიქიატრიაში-თბილისი“; „კონსტიტუციის
42-ე მუხლი“; „სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“;
„საზოგადოებრივი დამცველი“; „ციხის საერ-





სასჯელალსრულების სამინისტროს სტატისტიკა

2013 წლის 6 მარტის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 8 146-მა პრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 335-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა (№2 დაწესებულება – 2, №3 დაწესებულება – 3, №5 დაწესებულება – 330) და 21-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა (№2 დაწესებულება – 1, №8 დაწესებულება – 1, №11 დაწესებულება – 12, №17 დაწესებულება – 6, №18 დაწესებულება – 1)

ამნისტიის შესახებ კანონი პარლამენტმა 2012 წლის 21 დეკემბერს დაამტკიცა. კანონი ძალაში მიიღონარე წლის 13 იანვარს შევიდა.

თაშორისო რეფორმა“; „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“; „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“; „ახალგაზრდები სამართლიანობისათვის – საქართველო“; „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი...“ ეს იმ ორგანიზაციების ჩამონათვალია, რომლებიც ციხეში წამების ფაქტებისა და მის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ, და ეს მოთხოვნა მათ ერთობლივი განცხადებითაც გამოხატეს.

პენიტენციურ სისტემაში წამება ჩვეულებრივი მოვლენა რომ იყო, ამას მხოლოდ გახმაურებული კადრები არ მიუთითებს. არ არსებობს სახალხო დამცველის ისეთი მოხსენება, სადაც ციხეში არაადამიანურ მოპყრობას საკმაოდ დიდი ადგილი არ ეთმობა.

2012 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით ამნისტიის შესახებ კანონი დაამტკიცა, რომელიც ძალაში 13 იანვარს შევიდა. ამნისტიის შედეგად, ბოლო მონაცემებით, რვა ათასზე მეტი პატიმარი გათავისუფლდა.

ამნისტიის კანონის აღსრულებას ხარვეზების გარეშე არ ჩაუვლია. კანონის მიხედვით, თალლითობაში მსჯავრდებულ პირს ამნისტია სრულად იმ შემთხვევაში ეხება, თუ დაზარალებული თანახმა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი მხოლოდ მეოთხედით


მცირდება. თალლითობის გამო გასამართლებულ ა.რ.-ს საქმეში დაზარალებულად ცნობილი არავინ იყო. იმის ნაცვლად, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღო და ამნისტია მსჯავრდებულზე სრულად გაეგრცვლებინა, მან საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალმდებელი მოიწვია, მისი პოზიცია გაიზიარა და პატიმარს სასჯელი მხოლოდ მეოთხედით შეუმცირა.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ მიიჩნევენ, რომ სასამართლომ კანონი არასწორად განმარტა. „იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ გადასაწყვეტ საკითხზე კანონი ზუსტ და ნათელ პასუხს არ იძლეოდა, მას საკანონმდებლო ბუნდოვანების განმარტება ადამიანის უფლებებისათვის პრიორიტეტის მინიჭებით, და არა საქმეში დაზარალებულად არცნობილი სახელმწიფოს პოზიციის გათვალისწინებით უნდა მოეხდინა“. – ვკითხულობთ საიას განცხადებაში.

კომპენსაცია, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია


რაც შეეხება მათ, ვინც ციხიდან გათავისუფლდა: სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია human rights watch-ის წარმომადგენელი და უფროსი მკვლევარი გიორგი გოგია მიიჩნევს, რომ პა-

ამნისტირებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა ამნისტიის საფუძვლის მიხედვით



მონაცემები აღებულია სასჯელალსრულების სამინისტროს ვებგვერდიდან

■ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის ლელა ცისკარიშვილის აზრით, იმ რესურსებით, რომელთა გამოყენებასაც სახელმწიფო გეგმავს, პატიმართა ამ რაოდენობის სრულად რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია გამორიცხვულია.



მონაცემები აღებულია სასჯელაღსრულების სამინისტროს ვებგვერდიდან

ტიმრები ციხიდან ყოველგვარი მომზადების გარეშე გამოუშვებს. გოგია გვიყვება შემთხვევის შესახებ, როდესაც რუსთავის ციხიდან გამოსულმა პატიმარმა თბილისამდე ვერ ჩამოაღწია, გზაში სამარშრუტო ტაქსის მძღოლის დაყაჩაღება სცადა და ციხეში გზიდანვე შეატრიალეს.

„მას გარეთ არ დახვედრია არც ოჯახი, არც ნათესავები, არც არავითარი სახელმწიფო სერვისი. თბილისამდე ჩამოსასვლელი ფულიც კი არ ჰქონდა“ – ამბობს გიორგი გოგია.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის ლელა ცისკარიშვილის აზრით, იმ რესურსებით, რომელთა გამოყენებასაც სახელმწიფო გეგმავს, პატიმართა ამ რაოდენობის სრულად რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია გამორიცხვულია. ცისკარიშვილი ვარაუდობს, რომ პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში რეციდივის, ანუ დანაშაულის განმეორების შემთხვევები გაზრდებულა. მისი თქმით, მსჯავრდებულის გათავისუფლების პირველი კვირებში ამის რისკი მინიმალურია, ამ პერიოდის მანძილზე ყოფილი პატიმარი

გარემოსთან ადაპტაციას გადის და ახალ რეალობას ეგუება. თუმცა, თუ მას შესაბამის სერვისს არ მიანვდიან, დროის გასვლასთან ერთად რეციდივის საფრთხეც გაიზრდება.

ციკარიშვილი წამების მსხვერპლ პატიმრებს ცალკე კონტექსტში განიხილავს – „მათთვის სპეციალიზებული სერვისი უნდა არსებობდეს. სახელმწიფომ ადამიანებს საშინელი, უკიდურესი ფიზიკური და მორალური ტკივილი მიაყენა, ჯანდაცვის სამინისტრომ მათი სამედიცინო დახმარების თანხა ცალკე უნდა გამოყოს, ამ ადამიანებს წამების შედეგად ჯანმრთელობა განადგურებული აქვთ. ამასთან, ამ ხალხს კომპენსაციები ეკუთვნის“.

კომპენსაციების აუცილებლობაზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“-ის ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძეც. უფლებადამცველი ამ შემთხვევაში პოლიტიკური ნიშნით დევნილებსა და დაპატიმრებულებზე მიუთითებს.


5 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლი-

მთავარი პროკურატურის განცხადება

საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც პროკურორებისა და გამოძიებლებთან დაკავშირებულ საჩივარ-განცხადებებს განიხილავს. ამ ეტაპზე პროკურატურაში პროკურორების და გამოძიებლების წინააღმდეგ შემოსული 1500-მდე საჩივარი აღნიშნულ სპეციალურ ჯგუფს, კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევებში გამოძიების წარმოების უფლებამოსილება მიენიჭება.

სამუშაო ჯგუფი საქართველოს მთავარი პროკურატურისა და თბილისის პროკურატურის ახლადდანიშნული პროკურორებითა და გამოძიებლებით დაკომპლექტდა. 12 ნევრიანი სამსახური უკვე შეუდგა პროკურატურის მუშაკთა საქმეების შესწავლას. გამოძიების წარმოებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობის კონტროლისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს დაევალა.

საკატიპოსის ხელისაგან კათაქსოფლებულ ბრადებულთა/შეჯერებულთა რადებობა კაკტიპოსისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მიხედვით



მონაცემები აღებულია სასჯელაღსრულების სამინისტროს ვებგვერდიდან

დერმა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ დეპუტატების წინაშე 215-კაციანი სია ჩაიკითხა.

ოპოზიციური პარტიების აქტივისტები, ყინვისის, მუხროვანის, ენგერის საქმეებთან დაკავშირებული პირები, ტელეკომპანია კავკასიაში შეჭრის გამო მსჯავრდებულები – ეს ადამიანები საქართველოს პარლამენტმა 77 ხმით 14-ის წინააღმდეგ პოლიტპატიმრებად ცნო. მათთვის ციხის კარი 13 იანვარს, ძველით ახალი წლის საღამოს გაიღო.

პოლიტპატიმრების სიის ფორმირება ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტთან შექმნილ საგანგებო კომისიას ევალებოდა. ნანა კაკაბაძე სწორედ ამ კომისიის წევრია, მისი თქმით, ის კომისიის სხვა წევრებთან ერთად კომპენსაციების საკითხს აუცილებლად დააყენებს – „მართალია, ეს პოლიტპატიმრები სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი იყვნენ, მაგრამ ახალი ხელისუფლება მათი სამართალმემკვიდრეა, ისე არაა, რომ მხოლოდ პოლიტპატიმრად გცნო, გაგიღო ციხის კარი და გამოგიშვა. ის ზიანი – მატერიალური თუ მორალური, უნდა ანაზღაურდეს. ჩვენ საბჭოთა პოლიტპატიმრები სამარცხვინოდ მცირე პენსიას ვღებულობთ, 62 ლარს, მაგრამ მორალურად ეს მაინც რაღაცას ნიშნავს, თუნდაც ჩემი შვილისთვის, რომელმაც იცის, რომ ხელისუფლება თავისი დანაშაულის გამო პენსიას მიხდის“, – ამბობს კაკაბაძე.

უფლებადამცველის აზრით, „დღეს არამარტო „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესშია, რომ პოლიტპატიმართა რიგები არ გაიზარდოს, არამედ, ახალი ხელისუფლები-საც, რათა სახელმწიფოს მათზე ზრუნვა არ გაუჭირდეს.“ მისი თქმით, რეალური დამნაშავეები, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, ხელისუფლებაში – პროკურატურაში თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობენ – „ადამიანები, რომლებმაც ეს საქმეები შეკერეს და უდანაშაულო პირები ციხეში გაუშვეს ლარიბაშვილს და კბილაშვილს დღესაც ძალიან სერიოზულ თანამდებობებზე ჰყავს.“

ამგვარ ფაქტებზე „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი ლია მუხამაზრიაც საუბრობს: „ყოველდღე მესმის ამა თუ იმ დაზარალებულისგან, რომ პროკურორი, რომელმაც უკანონობა ჩაიდინა და უამრავი უბედურება მოუტანა, არათუ დასაჯეს, არამედ დაანინაურეს კიდევ. იმასაც არ ვხედავ, რომ კბილაშვილი კარგი იურისტი და ასევე ძალიან კარგი ადვოკატი იყო, მაგრამ ავტომატურად კარგი პროკურორი ვერ გახდებოდა.“

„სამართლიანობის აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანია. ციხეებიდან უამრავი ადამიანი გამოვიდა, რომელთაც იქ ჯოჯოხეთი გაიარეს. ისინი ელოდნენ, რომ გაიგებდნენ, როგორ დააკავეს მათი მწამებლები, ხალხი, რომ-

ლებმაც მათი საქმეები „შეკერეს“, როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რომ ვილაცხვებ თავიანთ ნამოქმედარზე პასუხი მოეთხოვათ... თუმცა გამოვიდნენ და დახვდათ გაპარტახებული ოჯახები, სამსახურისა და შემოსავლის პერსპექტივის გარეშე... და მეტი არაფერი.“

ბოლო ინფორმაციით, მთავარ პროკურატურაში პროკურორებისა და გამომძიებლების წინააღმდეგ 1500-მდე საჩივარია შესული. არჩილ კბილაშვილის ბრძანებით, პროკურატურაში სპეციალური 12-წევრიანი ჯგუფია შექმნილი, რომელიც ამ საჩივრებს განიხილავს.

ცოცხალი მკვდარი და პროკურორი

2007 წლის 24 აგვისტოს, კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა ზურაბ ჯავახიშვილმა თელავის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა.

პროკურორი ბრალდებულ ალექსანდრე ბახუტოვისთვის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა. ეს მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა.

საქმე გაუფრთხილებლობით მკვლელობის ბრალდებას ეხებოდა, რომელიც მალე განზრახ მკვლელობად გადაკვალიფიცირდა. ბახუტოვს ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობა დააბრალეს.

ამ საქმის გამო, მკვლელობის დაფარვისა და დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, კიდევ სამი ადამიანი – ასლან გაურაშვილი, ალექსი ცოციაშვილი და ვეფხო ხაჩოშვილი დააპატიმრეს. მათ ბრალად ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვაში ბახუტოვის დახმარება ედებოდათ.

ბახუტოვის საქმე ბევრჯერ მოხვდა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში, ის დეტალურად შეისწავლა მაშინდელმა ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა. სახალხო დამცველი წამების, წამების მუქარის და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით გამოძიების დაწყებას ითხოვდა.

საქმე ისაა, რომ ლაშა ჩოფიკაშვილი, რომლის მკვლელობის თუ გვამის გადამალვისთვის ოთხი ადამიანი პასუხისმგებში მისცეს, ცოცხალი იყო, და ე.წ. ნაწინდარის ტერიტორიაზე ვინმე იზნაურთან მწყემსად მუშაობდა.

ჩოფიკაშვილის სოფელში დაბრუნების შემდეგ ბახუტოვმა ციხეში კიდევ ერთი წელი გაატარა. პროკურორი ზურაბ ჯავახიშვილი კი, რომელსაც ეს პროცესი მიჰყავდა, ოქტომ-

ბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დააწინაურეს და თელავის რაიონული პროკურორის მოადგილედ დანიშნეს.

ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე შემდეგი განცხადება განთავსდა: „მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, 2012 წლის 26 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამომძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება ალექსი ბახუტოვის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.“

სწორედ ასეთ შემთხვევებზე საუბრობს უფლებადამცველი ლია მუხაშავერია, როდესაც ამბობს, რომ „თუ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენის განცდა არ შეექმნება, და თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, მაშინ ადამიანები თვითონ დაიწყებენ სამართლიანობის აღდგენას და ეს ძალიან საშიში იქნება“.

უფლებადამცველი სახიფათო პროგნოზებს არ ერიდება. ის მიიჩნევს, რომ თუ სახელმწიფომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი რეალურად არ წარმართა, „ყველაფერი სწრაფად გადაიზრდება ბარბაროსობაში. არ გამოვრიცხავ, რომ ანგარიშსწორება დღისით-მზისით კი არ მოხდება, არამედ ერთმანეთს ჩაუსაფრდებიან და მერე ნახეთ უბედურება...“

ბირგვლიანის საქმე

კიდევ ერთი პირობა, რომელიც ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ ამომრჩველს მისცა, გახმაურებული საქმეების, მათ შორის სანდრო გირგვლიანის საქმის რეალურად გამოძიება იყო.

ეს შემთხვევა განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩევა, რადგან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ, ის პრაქტიკულად გამოიძია.

„მინდა სათანადოდ დავაფასოთ ქალბატონი ირინა ენუქიძის ხსოვნის. ახლა მეტს არ ვიტყვი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვალში ვართ ირინა ენუქიძესთან, ჩვენი დროის გამორჩეულ ქართველ დედასთან. სულ მქონდა სურვილი, რამე ისეთი გაგვეკე-

■ „თუ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენის განცდა არ შეექმნება, და თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, მაშინ ადამიანები თვითონ დაიწყებენ სამართლიანობის აღდგენას და ეს ძალიან საშიში იქნება“.

■ **human rights watch-ის** წარმომადგენელი გიორგი გოგია ფიქრობს, რომ სამართლიანობის აღდგენა მაინც და მაინც ადამიანების ციხეში ჩასმას არ უნდა გულისხმობდეს, „თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს და ძალადობრივი დანაშაული ვინმეს ეპატიოს.“

თებინა, რაც ამ სახელს და გვარს შეეფერებოდა. მით უმეტეს, რომ აქ ერთ შემთხვევაზე კი არა, არამედ, გაცილებით დიდ თემაზე, დიდ პრობლემაზე ვსაუბრობთ, რომელიც ერთი მხრივ, პრობლემაა და მეორე მხრივ, ადამიანობის, მოქალაქეობის და კიდევ ბევრი რამის სტანდარტი“.

ეს არის ფრაგმენტი სიტყვიდან, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა საკანონმდებლო ორგანოს პირველ პირად მისი არჩევის დღეს წარმოთქვა.

2006 წლის 28 იანვარს დაახლოებით შუადღის 3 საათზე, 28 წლის სანდრო გირგვლიანის ნახევრად შიშველი ცხედარი თბილისის შემოგარენში, სოფელ ოქროყანის სასაფლაოსთან ახლომდებარე ტყეში, თოვლში იპოვნეს.

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ყველაზე გახმაურებულმა კრიმინალურმა საქმემ და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა საქართველოს მაშინდელი მთავრობის პოლიტიკის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ამ მოვლენამ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ზოგადად, მთავრობის მიერ გატარებული დემოკრატიული რეფორმების სიმტკიცე ეჭვქვეშ დააყენა.

გირგვლიანის საქმემ ქართული სასამართლოს ყველა ინსტანცია გაიარა და ბოლოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღმოჩნდა.

სასამართლომ იმსჯელა და სათითაოდ ჩამოთვალა ყველა ის სტრუქტურა, რომლებიც გირგვლიანის საქმეს კოორდინირებულად აყალბებდნენ.

2011 წლის 26 აპრილს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად ხელისუფლებას მოსარჩელებისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50 000 ევროს გადახდა დაეკისრა. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, „ის გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ არც პროკურატურა და არც ადგილობრივი სასამართლოები არ შეეცადნენ გაერკვიათ საქმის რამდენიმე ძირითადი გარემოება.“

„ყველაზე სერიოზული დარღვევა, რომელიც პროკურატურამ დაუშვა, არის მისი ჯიუტი უარი, ნება დაერთო განმცხადებლებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას დაბეჯითებით ითხოვდნენ“.

„სასამართლო ასევე გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია სანდრო გირგვლიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ჭრილობების, განსაკუთრებით, ყელის არეში მიყენებული ჭრილობების გარემოებები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ჭრილობათა უმრავლესობა, მათ შორის ხახის არეში მიყენებული ფატალური ჭრილობა მიყენებული იყო მჭრელი, ნვეტიანი და ტარიანი საგნით, შესაძლოა დანით, პროკურატურამ თავი არ შეინუხა, რათა გამოეძიებინა და აეხსნა, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში, თუ როგორ, რომელი მჭრელი იარაღით და ოთხი ბრალდებულიდან რომელმა მიაყენა ეს ჭრილობები“

„სასამართლო ასევე საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ და სასჯელალსრულების დეპარტამენტმა – უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის სათავეში დ. ა-აიას ძმა იდგა – არ უზრუნველყვეს ოთხი ბრალდებულის სხვადასხვა საკნებში მოთავსება, რასაც იმ დროს ცალსახად მოითხოვდა „პატიმრობის შესახებ“ კანონის 862-ე მუხლი. განურჩევლად იმისა, შეათანხმეს თუ არა ამის წყალობით ბრალდებულებმა ერთმანეთთან თავიანთი ჩვენებები, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ კანონის ასეთი აშკარა უგულებელყოფა ვერაფრით შეუწყობდა ხელს გამოძიების მიმართ განმცხადებლებისა და მთლიანად საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. ყველა ზემოთ აღწერილი მოსაზრებები საკმარისია სასამართლოსათვის, რათა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გამოკვლევის გარეშეც დაასკვნას, რომ საქმის გამოძიების იმ ნაწილს, რომელიც ქ. თბილისის პროკურატურაში ჩატარდა, აშკარად აკლდა ჯეროვანი გულმოდგინება, ობიექტურობა და, რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერება“

„პროკურატურამ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა დაზარალებულების ინტერესები და განეხორციელებინა გამოძიებაზე ჯეროვანი საზოგადოებრივი კონტროლი.“

„განმცხადებლებს (გირგვლიანის ოჯახს) არ მიუწვდებოდათ ხელი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ არც კი შეატყობინა მათ, თუ რა დასკვნებამდე მივიდა ის იმ

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რომლებიც მათ გარეშე ჩატარდა“

„სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორმა დაამახინჯა მოწმის განცხადებები საგამოძიებო მოქმედების ოქმში. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ მომჩივნების გამუდმებული მოთხოვნების მიუხედავად, პროკურატურამ, გამოძიების მიზნებისათვის, არ გამოავლინა და არ დაკითხა ის პირები, რომლებთანაც დანაშაულის ღამეს კავშირი ჰქონდათ, როგორც ოთხ მსჯავრდებულს, ისე კაფეში მსხდომ შს მინისტრის მეუღლის ჯგუფს. ასეთი ზომების მიღება აუცილებელი იყო, რათა შემომნებელი მომჩივნების განცხადებები იმის შესახებ, რომ არსებობდა რაღაც დანაშაულებრივი კავშირი დანაშაულის უშუალო ამსრულებლებსა და კაფეში მყოფ შს მინისტრის მეუღლის ჯგუფს შორის“.

„ლიბერალი“ მთავარ პროკურატურას დაუკავშირდა. პრესსამსახურის უფროსის განცხადებით, პროკურორ ზურაბ ჯავახიშვილის საქმეზე კვლავ გამოძიება მიმდინარეო-

ბს, „გამალებით იძიებენ“ სანდრო გირგვლიანის საქმესაც.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ დანაშაურებულ ზურაბ ჯავახიშვილი კვლავ თანამდებობაზე რჩება, გირგვლიანის მკვლელობის შემსრულებლები კარგა ხნის წინ შეიწყალეს, გიორგი ღვინიაშვილი, რომელიც პროცესის მიმდინარეობის დროს თბილისის მთავარ პროკურორად მუშაობდა, დღეს პარლამენტის დეპუტატია. „სოდის“ ყოფილი უფროსი დათა ახალაია იმალება, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ოპოზიციური პარტიის გენერალური დირექტორია და თბილისის ვიცე-მერის თანამდებობაზეც განიხილება...

human rights watch-ის წარმომადგენელი გიორგი გოგია ფიქრობს, რომ სამართლიანობის აღდგენა მაინცდამაინც ადამიანების ციხეში ჩასმას არ უნდა გულისხმობდეს, „თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს და ძალადობრივი დანაშაული ვინმეს ეპატიოს.“

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

მოსყუებული ფეხმეხები

2011 წელს საქართველოში ჰიბრიდული სიმიინდის პროგრამა დაიწყო. პროგრამის პოპულარიზაციის კამპანია თითქმის ყველა ტელევიზიის ეთერით მიმდინარეობდა. სიმიინდის თესვაში მონაწილეობა თავად პრეზიდენტმაც მიიღო. ის 2011 წლის აპრილის თვეში აბაშას ეწვია და განაცხადა, რომ გახუთმაგებული მოსავლის ადების შემდეგ საქართველო სიმიინდის ექსპორტიორი ქვეყანა გახდებოდა.

ცქრიალა შერმადინი, სტუდია „მონიტორი“

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს ფერმერებისათვის სათესლე ჰიბრიდული სიმიინდი სახელმწიფო ორგანიზაციამ „სოფლის მეურნეობის კორპორაციამ“ შემოიტანა. ფერმერი სიმიინდის შექენაზე ხელშეკრულებას კორპორაციასთან აფორმებდა. შემდეგ ის ამ ხელშეკრულებით ნებისმიერ კომერციულ ბანკში მიდიოდა და პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ფერმერთა 7 თვიანი შეღავათიანი დაფინანსების სისტემით სარგებლობდა. ამ შემთხვევაში, ფერმერს ბანკიდან ნაღდი ფული არ გამოჰქონდა, გარანტიის ფურცლის წარდგენის შემდეგ ბანკი კორპორაციას სათესლე სიმიინდის ღირებულებას თავად ურიცხავდა. ანუ ბანკი სახელმწიფოს ფულს ურიცხავდა, სახელმწიფო კი ფერმერს სიმიინდის თესვას აძლევდა. ფერმერებისთვის სესხის წლიური პროცენტი 3-7% იყო.

ჰიბრიდული სიმიინდის სახელმწიფო პროგრამაში მრავალი ფერმერი ჩაერთო, მათი სახელმწიფო პროგრამით მოგების ნახვის იმედი ჰქონდათ, თუმცა პირიქით მოხდა. ათეულობით ადამიანი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობდა და რომელთა ისტორიებიც სტუდია „მონიტორმა“ შეისწავლა, ამბობენ, რომ ფინანსური კეთილდღეობის მიზნითა და სახელმწიფოს იმედით ნასესხები საბანკო კრედიტები მათ სახლის დაკარგვის ფასად დაუჯდათ. პროგრამამ, რომელიც გლეხთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემუშავდა, სინამდვილეში ისინი ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მიიყვანა.

ფერმერთა მსგავსი ისტორიები

ჰიბრიდული სიმიინდი მთელ ქვეყანაში დათესეს, თუმცა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლების მაცხოვრებლები ერთსა და იმავეს ყვებიან.

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანის მკვიდრმა კახი ლვინაძემ 21 ჰექტარი მიწა დაამუშავა და ჰიბრიდული სიმიინდი დათესა. სიმიინდის თესლი მან ზემოთ აღწერილი საბანკო კრედიტის სისტემით შეიძინა. „1 ნოემბერს დავრეგისტრირდი მე ამ დამლუპველ პროგრამაში. დაპირებისამებრ, 21 ჰექტარზე უნდა ამელო ყველაზე მცირე 100-120 ტონა მოსავალი, მაგრამ ერთი მარცვალეც კი ვერ ავიღე. არ გაიზარდა სიმიინდი“, – ამბობს კახი ლვინაძე

დათესვის გარდა, ფერმერს სხვა ხარჯებიც დასჭირდა. კერძოდ, სასუქისთვის მან ბანკიდან დამატებით 6 ათასი დოლარის სესხი აიღო. თუმცა მოსავალი, რითაც სესხი უნდა დაეფარა და შემოსავალიც დარჩენოდა, არ მოვიდა. ბანკმა კი, სესხის დროულად დაფარვა მოსთხოვა. ამის შემდეგ კახი ლვინაძემ ნაკვეთები გაყიდა და სიმიინდის თესლისთვის გამოტანილი 5050 ლარი ძირი თანხა დაფარა. თუმცა ძირი თანხის დაფარვის შემდეგ, ბანკმა დამატებით კიდევ 1500 ლარის გადახდა დააკისრა, პროცენტის სახით დარიცხული თანხის გადახდა ლვინაძემ ვეღარ შეძლო.

როგორც კახი ლვინაძე ამბობს, მას „კონსტანტა ბანკის“ იურისტმა ორი თვის შემდეგ დაურეკა და დავალიანების შესახებ შეატყობინა. ვინაიდან



■ როგორც კახი ღვინაძე ამბობს, მას "კონსტანტა ბანკის" იურისტმა ორი თვის შემდეგ დაურეკა და დავალიანების შესახებ შეატყობინა. ვინაიდან თანხის გადახდა ვერ შეძლო, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სოფელ ლამისყანაში მდებარე მისი სახლი შეაფასა და იძულებით აუქციონზე გაიტანა.



სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2011 წელს საქართველოში დაახლოებით 12 მილიონი დოლარის სიმინდის იმპორტი განხორციელდა, 2012 წელს კი – 9 მილიონი დოლარის. თუმცა დაპირება, რომ საქართველო 2011 წელს სიმინდის ექსპორტიორი გახდებოდა, ვერ შესრულდა. ქვეყნიდან გატანილი სიმინდის ოდენობა იმპორტზე ბევრად ნაკლებია. კერძოდ, 2011 წელს საქართველოდან აზერბაიჯანსა და სომხეთში – 994 ათასი დოლარის სიმინდი გავიდა, 2012 წელს კი – 6 მილიონ 794 ათასი დოლარის.

თანხის გადახდა ვერ შეძლო, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სოფელ ლამისყანაში მდებარე მისი სახლი შეაფასა და იძულებით აუქციონზე გაიტანა.

სახლის შეფასებიდან ორი თვის შემდეგ, 2013 წლის იანვარში აღსრულების ეროვნული ბიუროდან კახი ღვინაძემ წერილი მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ სახლი 2700 ლარად გაიყიდა. სახლის იძულებით აუქციონზე გაყიდვის შემდეგ სიმინდის თესლისთვის გამოტანილი კრედიტის პროცენტი დაიფარა. მეორე სესხი კი, რომელიც კახი ღვინაძემ სასუქისთვის გამოიტანა, კვლავ დასაფარი აქვს.

სიმინდის გახმაურებულ სახელმწიფო პროგრამაში რამდენიმე ათასი ფერმერი ჩაერთო. ელიზავეტა ფიოდოროვაც ამ პროგრამის ერთ-ერთი მონაწილეა. მან აბაშის რაიონში მიწა იჯარით აიღო, ნიადაგიც გამოიკვლია და აგრონომთან კონსულტაციით ჰიბრიდული სიმინდი დათესა. მისი თქმით, განეული სამუშაოების მიუხედავად მცენარემ ზრდა შეაჩერა და დაპირებული მოსავალი ვერც მან აიღო.

სხვა ფერმერების მსგავსად აგროსესხის აღება ფიოდოროვასაც მოუხდა. მან „საქართველოს ბანკს“ მიმართა, თუმცა სესხი შეღავათიანი პროცენტით არ მისცეს და წლიური 18 % უნდა გადაეხადა. რატომ ვერ ისარგებლა ფერმერების ნაწილმა შეღავათიანი სესხით მაშინ, როდესაც სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ფერმერებს ხელისუფლება სწორედ შეღავათიან სესხს ჰპირდებოდა? კორპორაცია ამ კითხვაზე არ გვიპასუხა.

„სავალალო შედეგის შემდეგ, სახელმწიფომ თავისი თანხა ბანკებიდან ამოიღო და ბანკების წინაშე აღმოვიჩნდი ჩვენი“, – ამბობს ელიზავეტა ფიოდოროვა, რომელმაც ქონების კონფისკაციის შესახებ წერილი რამდენიმე დღის წინ მიიღო.

ჰიბრიდული სიმინდის სახელმწიფო პროგრამის მთავარმა შემსრულებელმა – სოფლის მეურნეობის კორპორაციამ – საქართველოში თესლი რუმინეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოიტანა. 2011 წელს საქართველოში აშშ-დან 54 ათასი დოლარის, ხოლო რუმინეთიდან 3 მილიონი დოლარის თესლი შემოვიდა.

სწორედ რუმინული წარმოების ჰიბრიდი მიაწოდა კორპორაციამ ელიზავეტა ფიოდოროვას. ფერმერმა კი მას შემდეგ, რაც ცუდი მოსავალი მიიღო, სიმინდის თესლი გამოსაკვლევად ლაბორატორიაში წაიღო.

ჰიბრიდული სიმინდის თესლი ლაბორატორია „მულტიტესტში“ ბიოლოგიის მეცნიერებთან დოქტორმა ნოდარ ენდელაძემ შეამოწმა. მის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ „pr35F38 სიმინდის

მარცვლი არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამდენად მისი სათესლედ გამოყენება დაუშვებელია“.

ნოდარ ენდელაძის თქმით, მოსავლი იმიტომ არ მოვიდა, რომ სიმინდის სათესლე მასალა აღმოჩნდა უხარისხო და შეუმომწებელი.

სხვა ინფორმაცია ვრცელდებოდა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სარეკლამო კამპანიის დროს. კერძოდ, კორპორაცია ბროშურებს არიგებდა, სადაც ჰიბრიდული სიმინდის უპირატესობები იყო ჩამოთვლილი:

1. მაღალ მოსავლიანობა 10-12 ტონა ჰექტარზე;
2. დაავადებებისადმი უკეთესი გამძლეობა;
3. მარცვლის უფრო მაღალი კვებითი ღირებულება ...

ექსპერტი ნოდარ ენდელაძე ჰიბრიდული სიმინდის ჯიშის ჩამოთვლილი უპირატესობებიდან თითქმის არც ერთს არ ეთანხმება.

იუზა ჩაჩუა სამტრედიის რაიონში, სოფელ გომში ცხოვრობს. მან ჰიბრიდული სიმინდის დათესვა სწორედ იმ უპირატესობების გამო გადაწყვიტა, რომელიც სარეკლამო ბროშურაში იყო მითითებული. ჩაჩუამ სათესლე მასალისთვის 3250 ლარის სესხი აიღო და სიმინდი მეგობრებთან ერთად 13 ჰექტარზე დათესა.

„პატარა ქონდრის კაცებს რომ ეძახდნენ, იმაზე ზევით არ გასულა სიმინდი, დამჯდარი ტეხავდნენ ქალები ტაროს, ისე დახობავდნენ ყანაში. ბანკმა რომ შეგვაწუნა, რაც მქონდა სიმინდი ჩავანყე „რაფში“, მიმქონდა სამტრედიაში გასაყიდად. კილოზე 40 თეთრზე შევთანხმდით (არადა, წესით, ლარად უნდა წაელოთ). გზაში დამაჯარამეს. ამინონეს მანქანა და „პერეგრუზკა“ გაქვსო. 400 ლარის სიმინდი მიმქონდა და 500 ლარით დამაჯარამეს“, – იხსენებს იუზა ჩაჩუა.

იგი ამბობს, რომ სიმინდს მოვლა არ დააკლო. სასუქიც სოფლის მეურნეობის კორპორაციისგან შეიძინა, თუმცა დაპირებული 10 ტონა სიმინდის ნაცვლად, ჰექტარზე ერთი ტონა მოსავალიც ვერ აიღო. დღეს სესხის დაფარვას ფერმერი ჩაჩუაც ვერ ახერხებს. პროცენტების დასაფარად ის სახლიდან სხვადასხვა ნივთებს ყიდის და, შესაძლოა, მალე სახლის გაყიდვაც მოუხდეს.

სოფელ გომის მკვიდრი მამუკა ონიანი უმუშევარი იყო. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის შესახებ შეიტყო, უხვმოსავლიანი სიმინდის დათესვა გადაწყვიტა. სათესლე მასალაში მან 3600 ლარი გადაიხადა, მოვლაში 11 ათასი ლარი დახარჯა. შემოსავალი კი, ხარჯებზე ბევრად ნაკლები იყო. „საქართველოს ბანკიდან“ ფერმერის მიერ გამოტანილი სესხი, რის სანა-

რატომ არიან
მდიდარი
ადამიანები
მდიდრები

internet
banking



mobile
banking

მდიდარი ადამიანებისთვის
მნიშვნელოვანია ფულის
კონტროლი

შეასრულეთ ნებისმიერი
საბანკო ოპერაცია მობაილ ან
ინტერნეტ ბანკით 24/7.



თიბისი ბანკი
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📱 * 27 27

www.tbcbank.ge

პროფესორი აგარიკოსი პაატა კოლუაშვილი სიმინდის სახელმწიფო პროგრამას წინასაარჩევნო პიარ კამპანიას უწოდებს. ამან კი, მისი აზრით, კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანა პროგრამაში მონაწილე ფერმერები და გლეხები. «ეს იმდენად ნაუცბათევად გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომ შედეგი იქნებოდა სავალალო. პირდაპირ მისი მოტანა სადაც არ არის შესწავლილი ბიოგეოკლიმატურ პირობებთან მისი შესაბამისობა, ჰარმონიზაცია არასოდეს არ მოგვცემს შედეგს, კოპირება არასოდეს არ იძლევა შედეგს».

ცვლოდაც ბინა აქვს ჩადებული, დღეს ისევ დასაფარია. „გადახდილი მაქვს 4 000 ლარი, გადასახდელი კიდევ 11 000 ლარი, იქნებ, რაიმე შეღავათი გაგვიკეთონ“, – გვითხრა საუბრისას ონიანმა.

პრეზიდენტის ვიზიტუალური დახმარება და წარმატებულად შეფასებული სახელმწიფო პროგრამა

ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულ გლეხებს იმედი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც 2011 წლის 28 ოქტომბერს ტყიბულში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დავალიანების ჩამოჭრის და დაზარალებული ფერმერების პრობლემის მოგვარების შესახებ განცხადება გააკეთა. თუმცა, ეს დაპირება არ შესრულებულა.

სოფლის მეურნეობის კორპორაცია პრეზიდენტის დანაპირების შეუსრულებლობა ასე დაგვისაბუთა: „სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას, წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში. შესაბამისად, კორპორაციას, კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება არ აქვს ჩამოაწეროს დავალიანებები.“

სოფლის მეურნეობის კორპორაცია 2010 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაარსდა. ვებგვერდზე მითითებულია, რომ ეს კორპორაცია წარმოადგენს 100%-ით სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ, მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციას. ჩვენ დავინტერესდით, პროგრამის ფარგლებში რა რაოდენობის და ღირებულების სათესლე სიმინდი შემოიტანა კორპორაციამ, თუმცა ამაზე გვიპასუხეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია კორპორაციის შიდა ფინანსურ ინფორმაციას წარმოადგენს.

ჰიბრიდული სიმინდის სახელმწიფო პროგრამამ ფერმერები ზუგდიდშიც დააზარალა. ზურაბ კიკალიშვილი ზუგდიდში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მან ჰიბრიდული სიმინდი 10 ჰექტარზე დათესა, ერთი ჰექტრის დამუშავება 1700 ლარი დაუჯდა. ჰექტარზე კი, მხოლოდ 320 ლარის სიმინდი აიღო. ჯამში კიკალიშვილმა 15 ათასი ლარი იზარალა.

„აყვევი სახელმწიფო პროპაგანდას. მათი ინფორმაციით, ეს სიმინდი 12-15 ტონა უნდა მოსულიყო ჰექტარზე. ისეთი გამოცდილი ადამიანები მყავდნენ გვერდით, რომლებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე სიმინდი მოჰყავდათ. ხონის რაიონში, ზემოავლონში არის განსაკუთრებული მიწა სხვაგან რომ არ მოვიდეს სიმინდი, იქ მაინც მოდის. სიმინდისთვისაა ის მიწა განკუთვნილი. რასაც პროგრამა ითვალისწინებდა, ყველაფერი

გავაკეთეთ, მაგრამ შედეგი იყო სავალალო“, – გვითხრა ზურაბ კიკალიშვილმა.

მან დახმარებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა, ფაქტზე 2011 წლის 16 ოქტომბერს სპეციალური აქტი შედგა, სადაც ვკითხულობთ: „ნაკვეთი მთლიანად გაცუდებულია, სიმინდი აღმოჩნდა უხარისხო და მატლიანი“. აქტს ხელს სპეციალისტი, გამგებლის რწმუნებული და მაჟორიტარი დეპუტატი ანერენ.

ამის შემდეგ დაზარალებულებმა დასახმარებლად გუბერნიას მიმართეს. თუმცა გუბერნატორის აპარატიდან მოსულ პასუხში აღნიშნულია, რომ „ამ საკითხის განხილვა-რეაგირება აღემატება კანონმდებლობით დადგენილ სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის კომპეტენციას“.

ფერმერების ნაწილმა სახლი, რომელიც კრედიტის სანაცვლოდ გიროში ჰქონდა ჩადებული, უკვე დაკარგა. ნაწილის ქონება დაყადაღებულია და აუქციონს ელოდებიან, ზოგი კი სახლიდან ნივთების გაყიდვითაა დაკავებული, რათა კრედიტის პროცენტი დაფაროს. ისინი პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის კორპორაციას აკისრებენ. ჩვენ კითხვით კორპორაციას მივმართეთ, რომელმაც გვიპასუხა, რომ პროგრამა წარმატებით განახორციელდა.

წარმატების დასადასტურებლად კი შემდეგი მონაცემები გამოგვიგზავნა: „ცხელი ხაზის კვლევამ მოსავლის აღების შემდგომ აჩვენა, რომ 2011 წლის განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე საშუალო მოსავლიანობამ 1 ჰექტარზე შეადგინა 5.4 ტონა, ქვემო ქართლში – 4.1 ტონა, კახეთსა და იმერეთში – 3.6 ტონა, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 3.5 ტონა, ხოლო მცხეთა-მთიანეთში – 3.1 ტონა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 2010 წელს შეადგენდა 1.4 ტ/ჰ, ხოლო 2011 წელს – 2.3 ტ/ჰ. – ზრდა აღინიშნებოდა სრულიად საქართველოში“.

2012 წელს გამართულ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პროექტი შეფასდა, როგორც წარმატებული. სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა ბაკურ კვეციანი და პრემიერმა ნიკა გილაურმაც. თუმცა „წარმატებულ“ პროექტს ბევრი დაზარალებული ჰყავს, შემოსავლის გარეშე დარჩენილმა ფერმერებმა სიმინდის პროგრამით დაზარალებულთა კავშირიც კი დააფუძნეს. ისინი შშირად იკრიბებიან და დღემდე გამოსავალს ეძებენ. **[A]**

მასალა დაფინანსებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ.

ნატახტარის ლიმონათი ახალი დიზაინით გაიყიდება



„ნატახტარის“ ლიმონათს მომხმარებელი ამიერიდან ახალი, უფრო დახვეწილი დიზაინითა და შეფუთვით შეიძენს. კომპანიის მარკეტინგის დირექტორის, თორნიკე ნიკოლაიშვილის განცხადებით, ცვლილების მიზანია შეფუთვა უფრო მიმზიდველი და კომფორტული გახდეს მომხმარებლისთვის.

„ცვლილებები ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია და ხაზს უსვამს, რომ კომპანია ორიენტირებულია განვითარებაზე. ჩვენი კომპანიის ცენტრში მომხმარებელია, ყველაფერი განპირობებულია მომხმარებლის მოთხოვნით – თუნდაც ეს მოთხოვნა ფარული იყოს და ბოლომდე გაუცნობიერებელი.“ – ამბობს თორნიკე ნიკოლაიშვილი. მან ხაზი გაუსვა, რომ დიზაინის შეცვლის მიუხედავად თავად ლიმონათი არ შეცვლილა და იმავე შემადგენლობისა და არომატის დარჩა, რომლითაც მომხმარებელმა შეიყვარა.

ლიმონათის შეფუთვის რედიზაინზე მუშაობა თითქმის ერთ წელს გრძელდებოდა, რაც კომპანიის მენეჯმენტის თქმით, სამუშაოს კომპლექსურობით იყო განპირობებული. სამუშაოები ევროპულმა კომპანიამ ჩაატარა და ნატახტარისთვის ექსკლუზიური ბოთლი შემუშავდა, ჩვენ არომატებისა და შეფუთვის დიდი რაოდენობა გვაქვს, ყოველ მათგანზე მუშაობა ძალიან ფაქიზად და გულდასმით ხდებოდა“ – აცხადებენ კომპანიის მენეჯმენტში.

საბოლოოდ, ლიმონათის ახალმა ბოთლმა ლეკალური, ნატიფი ფორმები შეიძინა. მწვანე ფერი შეირჩა ბოთლის თავსახურებისთვისაც, რაც ორგანულ ფორმებთან ერთად ხაზს უსვამს ნატახტარის ლიმონათის მაღალ ხარისხს. ასეთი დიზაინით დამზადდება როგორც პლასტმასის, ისე მინის ბოთლები.

მომხმარებლის სურვილებისთვის ფეხის აწყობისა და უფრო მოხერხებული პროდუქტის შეთავაზების გარდა, „ნატახტარი“ ლიმონათის რედიზაინით ინდუსტრიაში ახალი სტანდარტების დამკვიდრებასაც ცდილობს. „ჩვენ როგორც ლიდერებს ლუდისა და ლიმონათის წარმოებაში, გარკვეული ვალდებულება გვაკისრია, რომ ამ ინდუსტრიაში სტანდარტები დავამკვიდროთ“ – განაცხადა კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა.

კომპანიამ დიზაინის შეცვლაში სოლიდური ინვესტიცია ჩადო, თუმცა ახალი ბოთლები თავად პროდუქციის თვითღირებულება-სა და საწარმოო ხარჯებს არ ზრდის.

ახალი შეფუთვა „ნატახტარს“ საექსპორტო ბაზრებზე პოზიციების გამყარებაშიც დაეხმარება, რადგან კომპანიას საზღვარგარეთ კონკურენციის გაწევა უამრავ ადგილობრივ თუ საერთაშორისო მწარმოებელთან უწევს. ახალი დიზაინით კი ნატახტარის ლიმონათი იოლად საცნობი და ინდივიდუალური ხდება. ნატახტარის ექსპორტი კი ყოველწლიურად იზრდება და ახალ ბაზრებს იკავებს. მხოლოდ 2012 წელს ნატახტარის ლიმონათის ექსპორტი 33%-ით გაიზარდა. ამ დროისთვის ლიმონათი 20 ქვეყანაში იყიდება, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობის პროდუქცია უკრაინაში, სომხეთსა და ამერბაიჯანში იყიდება.

„ლიმონათს ჩვენთვის გარკვეული ელჩის ფუნქცია აქვს, რადგან ის საექსპორტო ბაზრებს ალბის, რის შემდეგაც უკვე ლუდის შეტანაც ხდება. ჩვენი ლიმონათი საზღვარგარეთ ღვინისა და მინერალური წყლების გვერდით დგას მარკეტებში, როგორც საქართველოს საცნობი პროდუქტი, რის წარმოებაშიც ქვეყანა განსაკუთრებულია და დახელოვნებული“, – ამბობს ნიკოლაიშვილი. ის საექსპორტო ბაზრებს პოტენციალის მიხედვით ყოფს და ამბობს, რომ არის ქვეყნები, სადაც ქართული პროდუქცია ამჟამად იყიდება დიდი რაოდენობით, და არის ქვეყნები, სადაც გაყიდვები ამჟამად ნაკლებია, მაგრამ ბაზრის ათვისების დიდი პოტენციალი არსებობს.

ნატახტარის ლიმონათი საექსპორტო ბაზრებზე 2006 წლიდან გამოჩნდა. ნატახტარის ლიმონათი მომხმარებელს სხვადასხვა არომატისა და გემოს პროდუქტს სთავაზობს და განსაკუთრებული პოპულარობით სადღესასწაულო სუფრაზე სარგებლობს.



თვანახისი

ხოსა ღებანუხოზა ახრეჰანი ახ ახის

მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტზე მინდა მოგიტხროთ – ელიტის მიერ, ფართო საზოგადოების განდევნის ხარჯზე, სივრცის, სამართლის, რესურსების და უფლებების ოკუპაციაზე.

ლელა რეზვიაშვილი

„ხუთი გატეხილი კამერა“ ჰქვია ფილმს, რომელიც ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ მშვიდობიანი გზებით მებრძოლი ვესტბანკის პალესტინური სოფლის შესახებ მოგვითხრობს. „პალესტინური მიწების ოკუპირებისთვის ისრაელი მრავალფეროვან ტაქტიკას იყენებს. ზოგიერთი ტაქტიკა თავად ისრაელის კანონმდებლობასაც კი ეწინააღმდეგება. ერთ-ერთი მეთოდი, ისრაელის მოსახლეებისთვის პალესტინის მიწაზე სატვირთოების და შენობების დადგმის წახალისებაა. როცა მიწა ფიზიკურად დაკავებულია, მისი ოკუპაცია ფაქტი ხდება“, – ყვება ფილმის ერთ-ერთი რეჟისორი, პალესტინელი დოკუმენტალისტი.

ოკუპაცია როგორც ფაქტი, საგანგაშოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ სივრცის ძალადობრივი დაკავება კონკრეტული ადამიანების განდევნის და დისკრიმინაციის ხარჯზე ხდება, არამედ იმიტომაც, რომ უსამართლოდ თუ სამართლიანად ოკუპირებული სივრცის უკან დაბრუნება, ანუ დეოკუპაცია ასევე კონკრეტული ადამიანების განდევნას გულისხმობს. მეტიც, წართმეული სივრცე აღარასდროს იქნება ოკუპაციამდელი მიწის მსგავსი. პალესტინის შემთხვევაში, ზეთისხილის ხეები გადაწმვარია; მათ ადგილას ისრაელის მოსახლეების უბნებია. გზებით, შენობებით, ინფრასტრუქტურით და რაც მთავარია – ადამიანებით. ანუ, ოკუპაციის როგორც ფაქტის, როგორც ფიზიკური რეალობის მთავარი სირთულე, ოკუპაციამდელი გარემოს აღდგენის შეუძლებლობაა.

ქართულ კონტექსტში ოკუპაცია როგორც



კონცეპტი, მრავალი საკითხის განსახილველად შეიძლება გამოვიყენოთ, თუმცა, მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტზე მინდა მოგიტხროთ – ელიტის მიერ, ფართო საზოგადოების განდევნის ხარჯზე, სივრცის, სამართლის, რესურსების და უფლებების ოკუპაციაზე.

გარემოვაჭრეთა დევნა წინა ხელისუფლებამ დაახლოებით 2004 წლიდან დაიწყო. მოვაჭრეთა შევიწროებისთვის საჭირო კანონმდებლობა, პოსტ-ფაქტუმ, 2006 წელს მიიღეს. ისევე როგორც მრავალი სხვა დანაშაულებრივი ქმედება,



ფოტო: ბიორაზი ბოზა

გარემოვაჭრეთა დარბევა, მათი საქონლის კონფისკაცია, დაჯარიმება, ზოგჯერ კი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება „ნესრიგისა და სისუფთავის“, „ქალაქის გალამაზების“, „საბაზრო ეკონომიკის აწყობის და ინვესტორების მოზიდვის“ სახელით ხორციელდებოდა. გარემოვაჭრეები წლების მანძილზე აპროტესტებდნენ და დღემდე აპროტესტებენ ვაჭრობის აკრძალვას. განსაკუთრებული სოლიდარობა მათ მიმართ არავის გასჩენია, ხოლო ხელისუფლება, განსაკუთრებით მერიის ზედამხედველთა სამსახური

ტრადიციულად, „მეტოქის“ დელეგატიმიზაციით იყო დაკავებული. გარემოვაჭრეები აღიქმებოდნენ როგორც ზარმაცი, კანონის დამრღვევი მოქალაქეები, რომელთაც „ცივილიზებულად მოქცევა“ არ იციან, კონკურენციას ვერ უძლებენ და ამიტომაც გადასახადებს გადახდას თავიდან ირიდებენ.

რომ გავიაზროთ, თუ რატომ იყო გარემოვაჭრეების დევნა დანაშაული, რამდენიმე ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, უპირველესად ის, თუ ვინ არიან გარემოვაჭრეები. თბილისში

■ „თუმცა, წერილ არაღეგალურად მოვაჭრეს და, მაგალითად, „ნუგეშის“ ქსელს ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებთ, მიუხედავად იმისა, რომ წერილ მოვაჭრეთა განდევნა და პრივილეგირებული კომპანიების მიერ გარემოვაჭრობის მონოპოლიზაცია ერთი და იმავე პროცესის ორ მხარეს შეადგენს.

სამი ტიპის გარემოვაჭრეები გვხვდებიან: 11 კომპანიას გარემოვაჭრეობის უფლება აქვს; არსებობენ ლეგალურად მოვაჭრეები, ანუ წვრილი გარემოვაჭრეები, ვინც, კერძო (ნახევრად) ბაზრებსა და ბაზრობებზე ქირაობენ ადგილს და არალეგალურად მოვაჭრენი, ვინც არცერთი სახის გადასახადს არ იხდიან. ტერმინი “გარემოვაჭრე” ყველაზე ხშირად სწორედ ამ უკანასკნელი ჯგუფის, ანუ არალეგალურად მოვაჭრეთა აღსანიშნავად გამოიყენება. თუმცა წვრილ არალეგალურად მოვაჭრეს და, მაგალითად, „უგემის“ ქსელს ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებთ, მიუხედავად იმისა, რომ წვრილ მოვაჭრეთა განდევნა და პრივილეგირებული კომპანიების მიერ გარემოვაჭრეობის მონოპოლიზაცია ერთი და იმავე პროცესის ორ მხარეს შეადგენს.

სანამ არალეგალურ მოვაჭრეთა „არალეგალურობას“ განვიხილავთ, არსებული გარემოვაჭრეობის „ლეგალურობა“ უნდა დავაყენოთ კითხვის ნიშნის ქვეშ. სტუდია “მონიტორის” დოკუმენტური ფილმი, ისევე როგორც “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” კვლევა ცხადყოფს, რომ დღეს არსებული ჯიხურები კანონის დარღვევის და კანონის მანიპულირების ხარჯზე განაგრძობენ ვაჭრობას. საიას კვლევის მიხედვით თბილისში გარევაჭრეობის ნებართვა მერიამ ბოლო წლების მანძილზე მხოლოდ თერთმეტ, ეგრეთ წოდებულ „პრივილეგირებულ“ კომპანიაზე გასცა. მათი სავაჭრო ჯიხურები კანონის მოთხოვნათა დარღვევით იქნა განთავსებული; 2012 წელს ნებართვა არ გაუგრძელებიათ, ანუ კანონდებლობის მიხედვით ვაჭრობის უფლება არ გააჩნიათ; თბილისის მერია კი მათ წინააღმდეგ სანქციების მიღებას და სავაჭრო ჯიხურების დემონტაჟს არ ჩქარობს. უამრავი ინდივიდუალურად მოვაჭრე შეეცადა მსგავსი ლიცენზიების მიღებას. მხოლოდ 2009-2011 წლების მანძილზე მერიის არქიტექტურის სამსახურში 2500-ზე მეტი განაცხადი შევიდა, საიდანაც მხოლოდ 735 განაცხადი დაკმაყოფილდა, მაგრამ არც ერთი არ გაცემულა წვრილ მოვაჭრეებზე. როგორც საიას კვლევა განმარტავს: „არქიტექტურის სამსახურის მიერ, არაერთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც დაინტერესებულ პირებს უსაფუძვლოდ ეთქვათ უარი გარე ვაჭრობის განხორციელებაზე. ამასთან მნიშვნელოვანი ისიც, რომ როგორც წესი, არქიტექტურის სამსახურის მიერ არ ხდებოდა იმ გადაწყვეტილებების დასაბუთება, რომლის მიხედვითაც დაინტერესებულ პირებს გარე ვაჭრობის შესახებ თანხმობის მიღე-

ბის მიზნით თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთვის უნდა მიემართათ და შესაბამის აუქციონებში მიეღოთ მონაწილეობა“.

ჩვენს ქვეყანაში „ლეგალურობა“ არჩევანი არ არის; „ლეგალურობა“ პრივილეგიაა. მეორეს მხრივ, გარემოვაჭრეები, რომლებსაც ლეგალურობაზე ხელმისაწვდომობა შეუზღუდეს და ვაჭრობის უფლება კანონდარღვევით ჩამოართვეს, აქტიურად არიან დემონიზებული როგორც „კანონდარღვევები“. კანონის უზენაესობის, წესრიგის, მოქალაქეთა ინტერესების სახელით მერიამ ათასობით მოვაჭრე გარემოვაჭრეობისთვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილებიდან, ბაზრობების და მეტროს შემოგარენიდან განდევნა, იმავე ადგილებზე ვაჭრობის მონოპოლია რამდენიმე კომპანიას გადასცა და ამით, უმრავლესობას „წესრიგში“ მონაწილეობის უფლება არ მისცა.

არალეგალურად მოვაჭრეების მდგომარეობა წლების მანძილზე განცდილმა დევნამ და შეურაცხყოფამ უკიდურესად დაამძიმა. განსაკუთრებული ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ პოლიციის და მერიის ზედამხედველობის მიერ შევინრობებულ მოვაჭრეებს უკიდურესი გაჭირვება აიძულებს გააგრძელონ „არალეგალურად“ ვაჭრობა. აქ ჩემი მიზანი მკითხველისთვის გარემოვაჭრეთა სიღარიბის და საცოდაობის აღწერა, მათი „მსხვერპლად“ წარმოჩენა არ არის. მინდა ავხსნა, რატომ არის სახელმწიფო პასუხისმგებელი მათ პრობლემებზე და რა გზებით შეიძლება მათი მოგვარება.

გარემოვაჭრეების სიციული მარგინალიზაცია და ლეგალურობის უფლების შეზღუდვა ზოგადად სიღარიბის პრობლემის ნაწილია. სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ის, რომ მოქალაქეებს თვითგადარჩენისთვის ბრძოლა ღირსების შელახვის ფასად არ უჯდებადეთ, სწორედ სახელმწიფოს ევალება. თუმცა, ჩვენი სახელმწიფოს უფრო დიდი დანაშაული სოციალურად დაუცველთათვის გამოსავლის ძიების, საკუთარი შრომით შემოსავლის მოპოვების შეზღუდვაა.

საქართველოს მსგავს ქვეყნებში სოციალური კეთილდღეობის გაზრდა, ანუ ისეთი რედისტრიბუციული ზომების მიღება, რომელიც სოციალურად დაუცველებს ღირსეული არსებობის საშუალებას მისცემს, ძალიან რთულია. სახელმწიფო დონის „რობინჰოლდიზმი“ ანუ შეძლებულის მიერ დაუცველის წარმატებული მომარაგება ძნელად მისაღწევია, რადგან დაუცველთა რაოდენობა შეძლებულთა რაოდენობას ბევრად აღემატება. რედისტრიბუციული ზომების გაზრდა, რა თქმა

■ კანონის უზენაესობის, წესრიგის, მოქალაქეთა ინტერესების სახელით მერიამ ათასობით მოვაჭრე გარემოვაჭრეობისთვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილებიდან, ბაზრობების და მეტროს შემოგარენიდან განდევნა, იმავე ადგილებზე ვაჭრობის მონოპოლია რამდენიმე კომპანიას გადასცა და ამით, უმრავლესობას „წესრიგში“ მონაწილეობის უფლება არ მისცა.

უნდა, აუცილებელია (ყველაზე გნავითარებული ქვეყნებისთვისაც კი) და ხელისუფლების სოციალური ინიციატივები – მისასაღმებელი. თუმცა, მსგავსი ინიციატივები ვერასდროს გადაჭრის სიღარიბის პრობლემას, სანამ სახელმწიფო არსებული კანონმდებლობის, და კანონმდებლობის აღსრულების დისტრიბუციულ ეფექტებზე არ იფიქრებს. დღეისთვის კანონმდებლობის და ეკონომიკურ პოლიტიკის დისტრიბუციული შედეგი მონოპოლიების გამყარება და მოსახლეობის დიდი ნაწილის მარგინალიზაცია, ბაზარზე, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა. იქ, სადაც თვითდასაქმებულთა რაოდენობა მოსახლეობის სამოც პროცენტს აჭარბებს, თვითდასაქმების უფლების ჩამორთმევა მოქალაქეთა უმრავლესობას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო სახელმწიფოს მათ უზრუნველყოფის შესაძლებლობას უმცირებს. თუ ჩვენ ხელისუფლებას მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება სურს, რედისტრიბუციულ პროგრამებთან ერთად მონოპოლიების დაშლას უნდა შეუწყოს ხელი. ამისთვის კი წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დასჯა/დაპატიმრება საკმარისი არ არის. მონოპოლიების თავიდან ასარიდებლად საჭიროა საკანონმდებლო ბაზის გამართვა და მოქალაქეებისთვის პოლიტიკურ, და ეკონომიკურ უფლებებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტირება.

გარემოვაჭრეთა შევწოების ისტორია მშვენიერი მეტაფორაა ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის აღსაწერად. ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკამ მოსახლეობის უმეტესობას ჩამოართვა ლეგალურობა, ლეგიტიმურობა, ღირსება, უფლება, იმ კანონების სახელით რომლებიც ყველას წინააღმდეგ კანონობდნენ, თავად ნაციონალური მოძრაობის გარდა; იმ კანონების სახელით, რომელიც დაინერა და გადაინერა ძალაუფლების (ყველა ფორმის და სახის) შესანარჩუნებლად. რაც ყველაზე მთავარია, ნაციონალური მოძრაობის მიერ სამართლის, თანასწორობის, სივრცის, თავისუფლების, მოძრაობის და უძრაობის, სინამდვილის და გამოგონილის, მტრის და მოყვარის განმარტების უპირობო ოკუპაცია ამ პარტიის ხელისუფლებიდან წასვლით არ დასრულებულა.

ოკუპაციის ყველაზე დამლუპველი შედეგი ის არის, რომ ოკუპაცია ხდება ფაქტი, ფიზიკური რეალობა, რომელიც ალტერნატიული რეალობების აღდგენის ან შექმნის შესაძლებლობას ართულებს. როგორც პალესტინელთა ზეთისხილის ხეები, ისე ქართული მოსახლეობის უმეტესობის

ეკონომიური რესურსები განადგურებულია. ელიტის მიერ მოქალაქეთა ეკონომიკური და სოციალური სივრციდან მოკვეთა კვლავაც ფაქტია. ყველა მნიშვნელოვანი სფერო, ყველა სექტორი, ეკონომიკით დაწყებული და კულტურით დამთავრებული, უმეტესწილად ათწლიანი მონოპოლიზაციის გავლენის ქვეშაა. დეოკუპაცია კი მიძიმე პროცესია ორი მიზეზით: პირველი – ისინი ვინც ამ ხნის მანძილზე გარიყულები იყვნენ, დაუსტდნენ, კონკურენტუნარიანები აღარ არიან და არც რესურსები აქვთ, რომ თავიანთი საქმიანობა გამართონ. მაგალითად, გარე-მოვაჭრეობის ნება სვალზე რომ დავრთოთ ყველას, უკვე ათასჯერ გაკოტრებულ მოვაჭრეებს კიდევ დიდხანს გაუჭირდებათ ფეხზე დადგომა. მეორე – არსებული მონოპოლიებშიც უდანაშაულო ადამიანები არიან დასაქმებული, და როცა დეოკუპაციაზე მიდგება საქმე, ისევ ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი.

დღევანდელ საქართველოში ამიტომაცაა ურთულესი სამართლიანობის აღდგენა. ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი ტერორის მოხსნიდან თავისუფლებამდე, ღირსეულ არსებობამდე კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. სწრაფ და რადიკალურ ცვლილებებს შეგვიძლია არც ველოდოთ. მაგრამ, თუ არსებული ხელისუფლება პროაქტიური არ იქნება დღევანდელი უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლისას, მაშინ ოკუპაცია საერთოდ არ დასრულდება. დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი ნაბიჯი კი ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავს. მაგალითად, ძნელი გასაგებია, რა ლოგიკით ხელმძღვანელობს არსებული ხელისუფლება, როდესაც ათასობით სოციალურად დაუცველს დახმარებას უწყვეტს მარტო იმიტომ, რომ თურმე წინა ხელისუფლება ზოგ შემთხვევაში შემწეობის თანხებს არასწორად განაგებდა. იმის ნაცვლად, რომ დასუსტებული მოსახლეობის ხელშეწყობაზე იზრუნოს, ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი ისევ ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაციაა. ეს უკანასკნელი სტრატეგია კი სტატუს კვოს ვერ შეცვლის – წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრება, კვლავ მათ ხელში არსებული მონოპოლიების დაშლას არ უდრის; ათასობით პატიმრის ამინსტია საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ყოფილმა პატიმრებმა ცხოვრების გამართვა შეძლონ – სახელმწიფომ მათ რეაბილიტაციაზე, დასაქმებაზე, კრედიტის ხელმისაწვდომობაზეც უნდა იზრუნოს; არსებული ჯიხურების დახგრევა გარემოვაჭრეებს ვერ უშველის; ხიდების ნგრევა კი ქალაქს არ ააშენებს. **■**

ასოსიასია "მწვანე აღმართების" მიმართა საქართველოს ჰეატიჩ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი ჰესების პროექტების შესახებ

ბატონო ბიძინა,

საარჩევნო ბლოკმა „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებამ“ გარემოს დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. თქვენი პოლიტიკური გუნდი წინა ხელისუფლების საქმიანობას უარყოფითად აფასებდა და აღნიშნავდა, რომ მან „პრიორიტეტად“ დაისახა არა ოფიციალურად დეკლარირებული მდგრადი ეკონომიკური განვითარება, არამედ ერთჯერადი ფინანსური, მათ შორის, კორუფციული, რესურსების მობილიზება, ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ექსპლუატაციისა და გარემოს განადგურების „დაკანონების“ გზით“. ამის საპირისპიროდ აღიარებდით, რომ „ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპს, ისეთ განვითარებას, რომლის დროსაც დაბალანსებული იქნება გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური საკითხები“. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველ რიგში განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის დასახელდა ევროგაერთიანების მოთხოვნების შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და სამართლებრივი ბაზის შემუშავება და გარემოზე ზემოქმედების შეფასების თანამედროვე სისტემის შექმნა. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები მოიცავდა ასევე, დიდი ჰესების მშენებლობის აკრძალვას, ენერჯის ალტერნატიული წყაროებისა და ენერგოეფექტიანობის, აგრეთვე არსებული ჰესების რეაბილიტაციის ხელშეწყობას.

მიუხედავად დაპირებებისა, სამწუხაროდ, დღეს ვხედავთ, რომ გრძელდება ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და „საპარტნიორო ფონდი“ არ ამბობენ უარს წინა ხელისუფლების დროს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის იგნორირებით ინიცირებულ პროექტებზე; პროკურატურა არ იჩენს სათანადო ძალისხმევას, რათა დროულად გამოიძიოს „დარიალჰესთან“ და სხვა პროექტებთან დაკავშირებით მაღალჩინოსნების მიერ, სავარაუდოდ, უფლებამოსილების გადამეტებით მიღებული გადაწყვეტილებები.



■ სამწუხაროდ, ჩვენი დაკვირვებით, გრძელდება წინა ხელისუფლების დანერგული პრაქტიკა – ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კვლავ ზენოლას ახდენს გარემოს დაცვის სამინისტროზე და აიძულებს დაჩქარებულად, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სათანადოდ გათვალისწინების გარეშე გასცეს საქმიანობით დაინტერესებული სუბიექტების მათგან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები.

ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, გარდა არაეფექტიანი გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემისა, რაც სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული თქვენს საარჩევნო პროგრამაში, განაპირობებენ შემდეგი ფაქტორები:

- ჰესების პროექტების განვითარების ეტაპების თანამიმდევრობა – პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (ჰესის სიმძლავრის, მშენებლობის დაწყება-დამთავრების თარიღების ჩათვლით) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებამდე, რაც დაკანონებულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის N107 დადგენილებით.

- მდინარეთა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის გადამეტებულად შეფასება, გარემოსდაცვითი და სოციალური საფრთხეების უგულებელყოფის ხარჯზე, მაქსიმალური სარგებლის მისაღებად. ზემოთ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის N46 ბრძანების საფუძველზე.

ამ ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილება დღემდე მიიღება სრულიად გაუმჭვირვალე მექანიზმებით. ეს კი, აადვილებს, კონკრეტული ჯგუფების ინტერესების წარმოჩენას „სახელმწიფო/გადაუდებელ აუცილებლობად“, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ელიტური კორუფციისთვის.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დღემდე იმიზეზებს, რომ შეუძლებელია ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით, მაგრამ არ იყენებს მათი გაუქმების შესაძლებლობებს. მაგალითად, ზედმეტი სახელმწიფო დანახარჯების გარეშე, შეიძლება ხუდონ-ჰესთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმება, ინვესტორის მიერ დარღვეული პირობების გამო, მაგრამ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების ჩარევის შედეგად, პროექტი მხოლოდ სამი თვით შეჩერდა. იგივე სამინისტრო აქტიურად ლობირებს უნიკალურ ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობას,



ფოტო: „მინამ ალტრაინჯინა“

აცხადებს რა, რომ საკითხი უკვე გადანყვეტილია, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის ეტაპზეა, ხოლო ინვესტორს უკვე დარღვეული აქვს შეთანხმების პირობები.

სამწუხაროდ, ჩვენი დაკვირვებით, გრძელდება წინა ხელისუფლების დანერგილი პრაქტიკა – ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კვლავ ზენოლას ახდენს გარემოს დაცვის სამინისტროზე და აიძულებს დაჩქარებულად, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სათანადოდ გათვალისწინების გარეშე გასცეს საქმიანობით დაინტერესებული სუბიექტების მათგან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები. მინისტრი კახი კალაძე და მისი თანამშრომლები მუდმივად აცხადებენ, რომ ყველა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტი, მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად განხორციელდება, „გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით“. უკანასკნელი ფრაზა მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, „გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება“ სწორედ იმას ნიშნავს, რომ ზოგი პროექტი განხორციელდება, ზოგი – არა, ხოლო ზოგში შევა სერიოზული ცვლილებები. მინისტრის ფრაზაში – „მიუხედავად ყველაფრისა“ კი გარემოს დეგრადაციაც იგულისხმება.

აღნიშნული სამინისტროს წარმომადგენელთა მოქმედებებსა და გამონათქვამებს, ჩვენი აზრით, განაპირობებს ორი ფაქტორი:

1. სამართლიან პოლიტიკურ ბრძოლაში მცირე გამოცდილების გამო, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები იოლად ექცევიან პრეზიდენტ სააკაშვილის შანტაჟის ქვეშ. საკმარისია დაისვას რომელიმე ჰესის ბუნებრივ ან სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მიზანშეწონილობის საკითხი, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები დაუყოვნებლივ იწყებენ მედიის საშუალებით პოლიტიკურ შანტაჟს – სიბნელეში დაბრუნების, ნგრევის, პროგრესის შეჩერების და სხვა აპოკალიფსური სურათების დახატვის გზით. ამის პასუხად, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალჩინოსნები პასუხობენ, რომ წინა ხელისუფლების მიერ წამოწყებული ყველა პროექტი – ანუ „პროგრესი“, აუცილებლად გაგრძელდება.

2. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წამყვანი პოზიციები უკავიათ სახელმწიფო თუ კერძო სექტორში უწინ დასაქმებულ ადამიანებს, რომელთაც წინა ხელისუფლების პირობებშიც ჰქონდათ ინტერესი ან/და ამჟღავნებდნენ ინტერესს კონკრეტული ენერგეტიკული

პროექტების მიმართ. ეს კი, იძლევა შემდეგი ვარაუდის საფუძველს: ან ამ ადამიანებს არ ძალუძთ შეცვალონ მიდგომები და მოერგონ ახალ რეალობას, ან მათ კვლავ გააჩნიათ პირადი მიზნები, რომელთაც გამიზნულად ნიღბავენ სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

„ჩვეული პრაქტიკის“ გაგრძელება (business as usual) იწვევს როგორც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ისე მთლიანად მთავრობის და განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ დეკლარირებული იდეების დისკრედიტაციას. ამ წერტილიდან ნდობის დაკარგვამდე კი, მოგეხსენებათ, არც ისე დიდი მანძილია.

იმედია, მთავრობა შეასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებს და ნებისმიერი ჰესის შესახებ გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გათვალისწინებით მიიღებს. მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია შემდეგი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა:


- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გადამუშავება ევროკავშირის დირექტივებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრაქტიკის გათვალისწინებით;

- ენერგეტიკული პროექტების განვითარების პროცესის თანამიმდევრობის შეცვლა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებამდე სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის მემორანდუმების დადების აკრძალვა;

- მთავრობას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ დღევანდელ სასამართლოს ფერჯერობით არ გააჩნია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ამიტომ, მთავრობამ თავად უნდა შეისწავლოს ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებული სადავო საკითხები: კანონდარღვევით და უფლებამოსილების გადაშტაბებით გამოცემული აქტები; საჯარო მოხელეთა ინტერესთა კონფლიქტები; პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცეს კანონსაწინააღმდეგო აქტების მომზადებაში მონაწილე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროების ხელმძღვანელობის ქმედებებს.

ზემოსხენებულ გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და ენერგეტიკის სექტორის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება.

შემოთავაზებული რეკომენდაციები, დაეხმარება გადაწყვეტილებების მიმღებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით გა-



■ „ჩვეული პრაქტიკის“ გაგრძელება (ბუსინეს ას უსუალ) იწვევს როგორც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ისე მთლიანად მთავრობის და განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ დეკლარირებულ იდეების დისკრედიტაციას. ამ წერტილიდან ნდობის დაკარგვამდე კი, მოგეხსენებათ, არც ისე დიდი მანძილია.

წონასწორებული, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში. ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ გარემოსა და მოსახლეობის სოციალურ ინტერესებს დაიცავს, არამედ ინვესტორებისთვისაც მისაღები იქნება, ვინაიდან დაეხმარება მოსალოდნელი/წარმოქმნილი პრობლემების არიდებაში და გაუადვილებს თანხების მოზიდვას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან; ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ გაცხადებულ მიზანს, გახდეს ევროპის ენერგოთანამეგობრობის წევრი.

დასასრულს, გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში დაგეგმილ 6 მეგავატი სიმძლავრის ჰესის მშენებლობის პროექტს (რომელიც ინიცირებულია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოცემული განკარგულებით). მეცნიერებისა და სამოქალაქო საზოგადოების არაერთი წევრის, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის რწმენით, პროექტიდან მიღებული სარგებელი ვერ გადაწონის უნიკალური ხდის ხეობისთვის მიყენებულ გამოუსწორებელ ზიანს. პროექტი აშკარად გადის ეკოლოგიურ ექსპერტიზას გარემოს დაცვის სამინისტროში. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ცდილობს, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის გარკვეული სტანდარტის დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობდა მდგრადი განვითარების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, ამ სამინისტროს მცდელობა არ არის საკმარისი, ვინაიდან ხელისუფლების სხვა შტოები აგრძელებენ ნაციონალური მოძრაობის გაკვალული გზით სიარულს.

მართალია, ეს პროექტი, თავისი სირთულითა და ზეგავლენის მასშტაბით ჩამოუვარდება ზუღონის, აჭარის და სხვა დიდი ჰესების პროექტებს, მაგრამ ნათლად აჩვენებს, რომ მცირე სიმძლავრის ჰესის აშენებასაც შეუძლია გამოუსწორებელი ზიანის მიყენება გარემოსთვის, თუ ის ხორციელდება ხელუხლებელ ეკოსისტემაში. ამასთანავე, ამ პროექტს განვიხილავთ ერთგვარ ინდიკატორად იმისა, გაგრძელდება თუ არა „ჩვეული პრაქტიკა“ და რამდენად შეასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებს „ქართული ოცნება“ – არამართო გარემოს დაცვის პრიორიტეტულობის, არამედ ელიტურ კორუფციასთან ბრძოლისა და ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისითაც. [\[1\]](#)

პატივისცემით,
მანანა ქოჩლაძე, თავმჯდომარე

იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაფენ!

იპითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იპითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

კალიკანის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარულიდან iTunes-ზე მოძიებნით „IOTA READER“





ფოტორეპორტაჟი

ლაზიკა – კრეზიდენტის ახსლანელი ოცნება

მალხაზ ჭკადუა



ანაკლიის იასტ-კლუბის ნაწილი – იაპონური არქიტექტურით აგებული შენობა. ის სწორედ იმ ადგილას არის აშენებული, სადაც მდინარე ენგური შავ ზღვას უერთდება.

„ლაზიკა მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ჩვენ ვაშენებთ ქალაქებს, რომლებსაც ჩვენი მტრები ვერ აშენებენ“, – ასე მიმართა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მარტვილის მოსახლეობას 2012 წლის 17 იანვარს. ჯერ არარსებულ ქალაქზე სააკაშვილი ერთ-ნაირი ალტაცებით საუბრობდა სამეგრელოშიც და დედაქალაქშიც, მარჯანიშვილის განახლებულ მოედანსა თუ წინა მთავრობის სხდომებზე. თუმცა ახალმა მთავრობამ პრეზიდენტს განცხადებებიც და საგანგებოდ ლაზიკისთვის გა-


მოყოფილი თანხაც წყალში ჩაუყარა – ლაზიკა აღარ აშენდება. 1 ოქტომბერს მოსული ხელისუფლება ახალი ქალაქის მშენებლობის საჭიროებას ვერ ხედავს. „აი, ანაკლიის მშენებლობა კი გაგრძელდება,“ – ეს განცხადება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ სამეგრელოს ზღვისპირეთში ჩასვლისას განაცხადა. თუმცა ახალ ხელისუფლებას ჯერ იმ პრობლემების მოგვარება მოუწევს, რომელიც მინის მესაკუთრეებს ანაკლიაში სასტუმროების აშენებამდე

შექმნათ (ათეულობით მოქალაქეს მინა სახელმწიფო ბალანსზე მუქარით გადააფორმებინეს). მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ანაკლიის განვითარებაზე ფიქრი, რომელსაც პრეზიდენტი კი უწოდებდა ქალაქს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, ანაკლიის გაქალაქების დამადასტურებელი რაიმე იურიდიული დოკუმენტი.

თვითონ ანაკლიელების ნაწილი ლაზიკის მშენებლობის შეჩერებას უარყოფითად აფასებს – მშენებლობების დაწყების შემდეგ ანაკლიის ზღვისპირმა მართლაც იცვალა ფერი, რამდენიმე



ოცდაათმეტრიანი მონუმენტი, რომელსაც სახელი არ აქვს. სავარაუდოდ, ის ლაზიკის სიმბოლო უნდა გამხდარიყო. ვიცით მხოლოდ ის, რომ მონუმენტი რუმინულმა კომპანიამ დადგა.

სასტუმროსა და ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის შემდეგ ადგილობრივებისთვის შემოსავლის წყარო გაჩნდა, თუმცა საკურორტო ზონის მშენებლობა გამჭვირვალობის თვალსაზრისით ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. და კიდევ ერთი რამ – სანაპიროზე მდებარე ძველი კოტეჯები და იქ შესახლებული დევენილები სასტუმროებისა და გაურკვეველი ძეგლების ფონზე არც მაშინ ახსოვდა ვინმეს და მათთვის თავს ვინმე არც ახლა იწუხებს. 

ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში ახლა მხოლოდ სახელმწიფო დაცვის წევრებია. როგორც გვიხარებს, პირველი ნაკადი ბანაკმა 15 მაისს უნდა მიიღოს.



კერძო მესაკუთრეთა კუთვნილ მიწებზე გაშენებული პატრიოტთა ბანაკის ლობე. არჩევნებამდე მესაკუთრეები მუქარის ფაქტებზე არ საუბრობდნენ, ახლა კი გააქტიურდნენ კომპენსაციის მისაღებად.



ანაკლიასა და ნახევრადმითოლოგიურ ლაზიკას შორის მდებარე დევნილუბის საცხოვრებელი ძველი კოტეჯები. აქ მცხოვრებთათვის არაფერი შეცვლილა ლაზიკის მშენებლობის არც დაწყებით და არც მისი შეჩერებით.



პრეზიდენტის ერთ-ერთი გატაცება სანაპირო ქალაქებში ველოსიპედებით რბოლაა. არც ანაკლიაა ამ მხრივ გამონაკლისი. თუმცა დღეს აქ ველოსპორტის მოყვარულებს ნაკლებად ნახავთ.

ფოტორეპორტაჟი



ლაზიკა პორტის სახელით ცნობილი შენობა – სინამდვილეში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლები. 2012 წლის აგვისტოში შენობის თავზე სპეციალური წარწერა LAZIKA PORT გაჩნდა.



ლაზიკის იუსტიციის სახლი ქაობებისა და ცხენების ფონზე. რკინა-ბეტონის კონსტრუქცია შეუსაბამოდ გამოყურება მის წინ მდებარე პატრიოტების ბანაკის ფონზე. მოგვიანებით ირკვევა, რომ შენობაში იუსტიციის სახლი კი არა ლაზიკის მერია უნდა განთავსდეს.



დამსვენებლებისთვის მოწყობილი საზოგადოებრივი საპირფარეოები ნადგურდება. ანაკლიის სანაპიროზე ზოლს არც დაცვის პოლიცია იცავს.





სასტუმრო „ოქროსი საწმისი“ დამსვენებლებზე მეტად წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტები ახსოვთ. სამთავრობო სტრუქტურები ტრენინგ-სემინარებს საგანგებოდ ამ სასტუმროში მართავდნენ ხოლმე.

ჩავესის დიქტატორი და სანაშაუზი დემოხრატორი

ლელა რეხვიაშვილი

უგო ჩავესი გარდაიცვალა. აი, სწორედ ვენესუელის ის ცნობილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშს რომ „ემმაკი“ უწოდა. სანამ მისი გარდაცვალება ოფიციალურად გამოაცხადდებოდა, ვენესუელაში მოქალაქეები უგოს ჯამრთელობის მდგომარეობას აპროტესტებდნენ. უცნაურად უღერს, მაგრამ მოსახლეობა მართლაც ქუჩაში გამოსვლით გამოხატავდა პრეზიდენტის ავადმყოფობით შეშფოთებას.

ვენესუელის პრეზიდენტის გარდაცვალება საერთაშორისო საზოგადოებას ააღელვა. საერთაშორისო შემფასებელთა და კომენტატორთა ნაწილი იხსენებდა ჩავესის მიერ პოლიტიკური მეტოქეების უხეშ ალაგმვას, თავისუფალი მედიის შევიწროებას და დემოკრატიზაციის პროცესის შეფერხებას. მეორე ნაწილი კი ჩავესის პერიოდში მიღწეულ ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბის განახევრებას, სიღატაკის 70%-ით შემცირებას, განათლების და ჯანდაცვის გაუმჯობესებას უსვამდა ხაზს.

ჩავესის მოღვაწეობის შედეგების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების შეფასებები ახლოსაც არ არის რამე კონსენსუსთან – ნაწილისთვის ჩავესი ღარიბი და დაუცველ მოსახლეობაზე მზრუნველი პრეზიდენტი, მეორე ნაწილისთვის კი – მიუღებელი ავტოკრატი. დღეს, როცა ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციები მონდომებით ზომავენ, ყველა ინდიკატორზე დეტალური ქულა და პროპორცია მოგვეპოვება, ცოტა უცნაურია მსგავსი რადიკალური შეფასებების არსებობა ერთი ქვეყნის ერთი პრეზიდენტის ირგვლივ.

ლათინური ამერიკის პოლიტიკის ექსპერტი არ ვარ, მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან, ჩავესის ირგვლივ ამტყდარი კონტროლერსია ორ საინტერესო დისკუსიას ეხმარება. დისკუსიას რომელიც, რა თქმა უნდა, ცდება ვენესუელას საზღვრებს და საქართველომდეც კი აღწევს.

პირველი დისკუსია ეხება იმ კრიტერიუმ-

ბს, რითაც ნებისმიერი ქვეყნის განვითარებას და ტრანსფორმაციას ვაფასებთ. ჩავესის, როგორც პოლიტიკური ლიდერის შეფასებისას მემარცხენე და მემარჯვენე დამკვირვებელთა პოზიციების შეუთავსებლობა აშკარად იკვეთება. ცოტა პირობითი და უხეში დაყოფაა, მაგრამ მაინც ცხადია, რომ მემარცხენე იდეოლოგიის მატარებელი ჩავესის სოციალისტურ პოლიტიკას უფრო დადებითად აფასებენ; მათთვის სოციალური კეთილდღეობის, ისევე როგორც ეკონომიკური ზრდის ამაღლება მნიშვნელოვანი ნარმატებია. მეორე მხრივ, მემარჯვენეებისთვის პოლიტიკური უფლებების დაუცველობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ სფეროში მიღწეული ნარმატები უმნიშვნელო და უფასური ჩანს.

ჩვენს კონტექსტში მსგავსი კამათი საბჭოთა პერიოდის შეფასებასთან დაკავშირებით ამოტივტივდება ხოლმე. საბჭოთა დანაშაულების, რეპრესიების, და მემკვიდრეობის სიმძიმე ისევე მოგვეყვება.

ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ განიცდის „საბჭოთა ნოსტალგიას“. არ მინდა ზედმეტად განვაზოგადო, მაგრამ პირადად ვიცნობ იმ ადამიანთა არგუმენტებს, ვინც კვლავაც ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დროს ცხოვრების უკეთესი პირობები იყო, საბჭოთა პერიოდის უპირატესობად ძირითადად დასაქმებას, განათლების და ჯანდაცვის უზრუნველყოფას მოიაზრებენ. პრობლემა ისეთივეა, რაც დღევანდელ ვენესუელაში: რა უფრო მნიშვნელოვანია – პოლიტიკური თუ სოციალური უფლებები? ერთი მხრივ, გამოირიცხულია სოციალური უფლებების რეალური დაცვა პოლიტიკური უფლებების უხეში დარღვევების პირობებში. მეორე მხრივ კი, შეუძლებელია პოლიტიკური უფლებების დაცვა სოციალური უფლებების უქონლობის დროს. და მაინც ფაქტია, ადამიანები, ვისაც პოლიტიკური უფლებებით (ან თავისუფლებებით) არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ უსარგებლიათ, ამ უფლებების მაგივრად ისევ

სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი ადამიანებისთვის პოლიტიკური უფლებები ფუფუნებაა. როცა შეილის ან მშობლის გამოკვებას ვერ ახერხებ (და არც არავინ იზიარებს პასუხისმგებლობას შენს პრობლემებზე) რთულია სამოქალაქო პასუხისმგებლობების აღსრულება.

ასეთ კონტექსტში „საბჭოთა ნოსტალგიის“ არსებობა იმას კი არ ამტკიცებს, რომ ადამიანების დიდი ნაწილი არ არის იმდენად „ლიბერალი“, რომ დამოუკიდებლობა დააფასოს; არამედ იმას, რომ თუ ამ ქვეყანას ოდესმე დემოკრატიზაცია ექნება, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა სოციალურ უფლებებსაც დაეთმობა ყურადღება. არადემოკრატიულ სისტემებში სოციალური პირობების გარანტირება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკიდურესად ღარიბი და უთანასწორო ქვეყნებში დემოკრატია არასდროს შემდგარა.

კვლავ ჩავესს რომ დაუბრუნდეთ, მისი მოღვაწეობის შეფასებისას ნამონეული მეორე დისკუსია შეგიძლია განვიხილოთ. აქამდე ვამბობდით, რომ ჩავესს ავტოკრატიზაცია უჩიოდნენ, თუმცა გაგრძელებულ პოზიციას ბევრი მკვლევარი და ჟურნალისტი ეწინააღმდეგება. 2012 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, გარდიანის ჟურნალისტი მარკ ვეისბროტი დასავლურ მედიას ჩავესზე გადაჭარბებულად ნეგატიური პოზიციის გამოხატვაში ადანაშაულებს. ვეისბროტი ნობელის პრემიის ლაურეატი მკვლევარის, ჯიმი კარტერის კვლევის შედეგებს აღწერს. კარტერის კვლევის მიხედვით, შესწავლილი 92 ქვეყნიდან, საარჩევნო პროცესი ვენესუელაში საუკეთესოა. ამასთანავე, მარია ივანჩევა გვახსენებს, რომ ვენესუელას პოლიტიკურ რეჟიმზე საუბრისას ქვეყნის ისტორია უნდა გაიხსენოთ. ვენესუელას დემოკრატია ჩავესის პრეზიდენტობამდე ნათობის ინდუსტრიის მეშვეობით გამდიდრებული



ელიტის „შეზღუდული დემოკრატია“ იყო, სადაც ანტინეოლიბერალურ სახალხო მოძრაობებს და ეთნიკურ უმცირესობებს სისხლში ახშობდნენ. ჩავესის დანაშაული სოციალისტური ტრანსფორმაცია სწორედ იმიტომ აღმოჩნდა რთული, რომ ეკონომიური ელიტის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. მეორე მხრივ, ჩავესს უმრავლესობის უპირობო მხარდაჭერა გააჩნდა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მის წინააღმდეგ გათამაშებული გადატრიალებების (რომელთაგან ერთ-ერთი აშშ-ს დაფინანსებით განხორციელდა) წარუმატებლობაში. ანუ ვენესუელის პოლიტიკური რეჟიმის შეფასება ისეთი ადვილი არ არის, როგორც გარედან ჩანს. ჩავესის ძალაუფლებას პოპულარული მანდატი გააჩნდა, ხოლო პოლიტიკური კონფრონტაციები მეოცე საუკუნის ნეოლიბერალური პოლიტიკის წყალობით გაღრმავებული კლასთა შორის უთანასწორობას ასახავს.

თუ გადავხედვით დასავლური, და განსაკუთრებით ამერიკული მედიის მიერ ჩავესის (არა შესახებ, არამედ) წინააღმდეგ დაფიქსირებულ პოზიციებს, ჩანს, რომ ჩავესის ავადმყოფობა, დიქტატორის ტიტულით დაამუქვნება, სახელგანთქმულ ტრანსებთან – პინოჩეტთან და თავად სტალინთან შედარება არ მოკლებია. ზემოთ აღწერილი დეტალების მიუხედავად, ჩავესის ვენესუელა ნამდვილად არ ყოფილა დემოკრატია, თუმცა არც იმდენად ავტოკრატიული იყო, რამდენადაც ამას დასავლური მედია აღწერდა. ბოლოს და ბოლოს „Freedom House“-ის მონაცემთა მიხედვით ვე-

■ „Freedom House“-ის მონაცემთა მიხედვით ვენესუელა ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიგებშია. მსოფლიოს განვითარებად ქვეყანათა დიდი უმრავლესობა სწორედ ნახევრად თავისუფალი რეჟიმებია, თუმცა ყველა მათგანს სტალინიზმთან მსგავსებას არ მიაწერენ.

ნესუელა ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიგებშია. მსოფლიოს განვითარებად ქვეყანათა დიდი უმრავლესობა სწორედ ნახევრად თავისუფალი რეჟიმებია, თუმცა ყველა მათგანს სტალინიზმთან მსგავსებას არ მიაწერენ. ანუ პოლიტიკური ფიგურების დემონიზებაზე თუ მიდგა საქმე, მსოფლიოში ჩავესზე ბევრად უარესი დიქტატორებიც მოიძებნებიან, თან მრავლად. თანაც, ფაქტია, რომ ბევრ ნახევრად თავისუფალ ან ჰიბრიდულ რეჟიმს ვენესუელას მსგავსად სიღარიბის წელში გატყვევა ჯერ არ მოუხერხებია.

მარკ ვეისბროტი სტატისის სათაურშივე კითხულობს: რატომ ახდენს ამერიკის შეერთებული შტატები ვენესუელას დემოკრატიის დემონიზაციას? ჩემი პასუხი ასეთია: ზუსტად იმიტომ, რატომაც ამერიკა მიხილ სააკაშვილის მთავრობის დემოკრატიულობას ზეიმობ-

და. ვეისბროტი თავადაც პასუხობს საკუთარ კითხვას. მისი აზრით, ვაშინგტონს დემოკრატიის თავისებური დეფინიცია გააჩნია – ამ დეფინიციით ფასდება, რამდენად ემსახურება განვითარებადი ქვეყნის ლიდერი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიზნებს, და არა ის, თუ რამდენად პასუხობს ლიდერი საკუთარი ამომრჩევლების მოთხოვნებს. ანუ დასავლეთისთვის სოციალისტი, ანტინეოლიბერალი და ჩავესის შემთხვევაში ცხადად ანტიამერიკული განწყობის მმართველი პრობლემა და არა ზოგადად „არც თუ ისე დემოკრატია“ (ასეთი კი თავად ამერიკი მოკავშირეებს შორის უამრავია). ვეისბროტს შეგვიძლია დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ. საკუთარი ქვეყნის მაგალითზე უკვე გამოვცადეთ, რომ საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“ შეფასება განსაკუთრებით სანდო მონაცემებს არ ეყრდნობოდა. არც ოქტომბრის არჩევნების მეორე დღესვე საქართველოს ავტოკრატიად გარდაქმნა, ვითომ იქამდე დემოკრატია ვიყავით, ყოფილა განსაკუთრებულად ინფორმირებული ან ლოგიკური დასკვნა.

არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში ჩემმა ფრანგმა მეგობარმა მომწერა – ლელა, აქაური პრესა თქვენ ახალ მთავრობას ლანძღავს და მითხარი, უნდა ვენდო თუ არაო. მეც მოუწყევი, რომ სააკაშვილის ზედმეტად პოზიტიური შეფასება ჩემს ქვეყანას არ წადგომია, და არა მგონია ახალი ხელისუფლების ასევე გადაჭარბებულად ნეგატიური შეფასებები ნაადგეს-მეთქი. საერთაშორისო შეფასებები ასევე საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის წყალობით მოდიფიცირდება, და ამ შეფასებათა საერთაშორისო და რაც მთავარია, ლოკალურ გავლენას თუ შეეხედავთ, განსაკუთრებით სახარბიელო სურათს ვერ დავინახავთ. სამწუხაროდ, ვენესუელელი მეგობარი არ მყავს თორემ, მეც პირადად ვიკითხავდი მის აზრს, რადგან „ინფორმაციის საუკუნეში“ ინფორმაცია ჯერ ისევ არ არის განსაკუთრებით სანდო.

ლათინურ ამერიკას აშშ-სთან კონფრონტაციის გრძელი ტრადიცია აქვს. ჩავესიც ხშირად სწორედ ამერიკის გავლენისგან გათავისუფლების მცდელობის გამო იყო დაფასებული. საქართველო ერთი ძალაუფლების ცენტრის – რუსეთის გავლენის მოშორებას ცდილობს და ამ ფონზე დასავლური მედიის ნეგატიური პოზიციის ვენესუელასავით ადვილად მოშუშება ალბათ გაუჭირდება. **■**



„მე ვფიქრობ, რომ შეხვედრა იყო შეხვედრისთვის... როგორ შეიძლება კანონზე ასეთი ლაპარაკი – გამოიყენებს, თუ არა. კანონი უნდა იყოს ისეთი, რომ ყველას შეეძლოს მისი გამოყენება და საზოგადოებისთვის ეს იყოს მისაღები და სასარგებლო და არა ის, რომ ვიღაცა ამას გამოიყენებს, თუ არა და დავუჯეროთ, თუ არ დავუჯეროთ“ –

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი



„ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა. საინტერესო ნიშნავს იმას, რომ არის ფუნდამენტური განსხვავებები ჩვენს ხედვაში... ყოველგვარი სპეკულაცია, რომ მე შეიძლება გამოვიყენო პრეზიდენტის არსებული უფლებამოსილება და დავითხოვო საქართველოს მთავრობა, ან დავითხოვო საქართველოს პარლამენტი, უბრალოდ არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ, რომ ეს მთავრობა აირჩია ქართველმა ხალხმა“ –

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი



„ახლა მოგეხსენებათ ასეთი რეჟიმია, რეალურად მხოლოდ უახლოეს ნათესავებს აქვთ საშუალება, რომ მონვევის შემთხვევაში წავიდნენ რუსეთში... საუბარია იმაზე, რომ ამ მოქალაქეთა და მომწვევთა ასე ვთქვათ კატეგორიებიც გაიზარდოს. ჩემი აზრით, სადღაც ზაფხულისთვის ჩვენ უკვე გვექნება უფრო გამარტივებული სავიზო რეჟიმი რუსეთის მხრიდან რუსეთსა და საქართველოს შორის“ –

ზურაბ აბაშიძე, პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი



www.ucnobifm.ge



 RBS



NATIONS™

ჩვენსი ჩრის რეგვირმნატი
2 თებერვლინს
ყმვჩე პეგეთ ჭვირანს

